140
1955/3

პიონერი

№ 3
მარტი
1955

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის №1-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის პიონერები
ამზადებენ კედლის გაზეთის მორიგ ნომერს.

პ ი ო ნ ე რ ი

№ 3

მარტი, 1955 წ.

ВСЕГДА ГОТОВ

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

წელიწადი XXIX

ეროვნული ბიბლიოთეკა

6904

ჰუგო ჰუპერჯი

სახლი გორში

პატარა სახლო ბედნიერია,
ვინც გინატრა და განახა კიდევაც,
ვინც ეზიარა ამიერიდან
შენს სისპეტაკეს, სითბოს, დიდებას.
დე, გზაზე ეტლი მელოდოს დიდხანს...
ვოცნებობ ბაღში განმარტოებით;
ნეტავ, მაქცია იმ ხედ, აქ რომ დგას
ცადაშოლტილი მწვანე რტოებით.
ქალაქი, ციხე ლიბო-ურღვევი,
ჭალა, ფუნჩულა ღრუბლის ქულები,
ცაში – არწივი ფრთამოუღლელი...
და შენ — გვირგვინი დედაბუნების...
დაბალი ჭერი, მომცრო სარკმლები,
მკრთალი ნათელი მხურვალე მზისა
და სამუდამო თანამგზავრები,—
მთელი სამყარო იმ ერთი ყრმისა.
აქ ერთი წუთით არა წყვეტს ძგერას,
სიმღერა გულში ვეღარ ეტევა,—
ხალხო, ემთხვიე ამ ნათელ კერას,
შეუსისხლხორცე სულისკვეთება.

ღრმად ჩაინერგე ხსოვნაში მისი
უბრალოება და სისადავე...
მტკიცედ წარმოთქვი ვაჟკაცის ფიცი,
ომს აღარ მისცე ხელში სადავე.
ვაზი, დაფნა და ჭადრების ჩრდილი,
მკვირცხლი ბიჭების სიცილ-ხარხარი,
მშვიდობის დროშა კეთილშობილი
და მოზეიმე ხმები ნაღარის...
მშვიდობა შენდა! აქ, ამ კერასთან
მტრობას, შურს კარი გადაერაზა.
უმანკო ბავშვის მთრთოლვარე ბაგე
გვიხმობს, გვეძახის მშვიდობისაკენ.
გორი საჩუქრებს გვთავაზობს უხვად
და კაცი სულით უფრო მაღლდება...
ვისაც სამშობლო მხურვალედ უყვარს,
ეს სახლიც გულით შეუყვარდება.
ბრძოლებით მოღლილს და შუბლდაღარულს
აქ სისხლი კვალად აუზვირთდება,
შენმა ბაღნარმა მუდამ იხაროს,
პატარა სახლო, მარად დიდება!

თარგმანი ვასილ ბაიაძისა

საბავშო განყ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

შესრულდა ორი წელი გენიალური ლენინის დიდი მოწაფისა და თანამებრძოლის, მისი საქმის უკვდავი განმგრძობის, ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალებიდან.

ი. ბ. სტალინი დაიბადა 1879 წლის 21 დეკემბერს ქ. გორში. 15 წლისა იყო, როდესაც რევოლუციონერი გახდა; სხვა რევოლუციონერებთან ერთად არალეგალურ წრეებში ეცნობოდა და სწავლობდა მარქსისტულ ლიტერატურას. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ღრმად შეისწავლა მარქსის, ენგელსისა და ლენინის შრომები.

მთელი თავისი მგზნებარე ცხოვრების მანძილზე იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი ერთგული იყო ლენინიზმის იდეებისა.

რევოლუციონერს მეფის რუსეთში ყოველ ნაბიჯზე საშიშროება ელოდა. ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლთ საპყრობილეში სვამდნენ, კატორღაში აგზავნიდნენ. 11 წლის განმავლობაში სტალინი შვიდჯერ დააპატიმრეს და ექვსჯერ გადაასახლეს. მეფის ხელისუფლება სტალინს ყველაზე შორეულ, ყველაზე მიყრუებულ ადგილებში ასახლებდა, რათა მისთვის რევოლუციური მუშაობის საშუალება არ მიეცა. მაგრამ ფოლადისებური ნებისყოფითა და ბრძოლის წყურვილით აღსავსე სტალინი ყოველთვის გამორბოდა და რევოლუციურ მუშაობას უბრუნდებოდა; დაუღალავად ეხმარებოდა ლენინს კომუნისტური პარტიის შექმნაში და რევოლუციის მომზადებაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი ლენინის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი გახდა ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში.

პირველი წლები განსაკუთრებით მძიმე იყო. მტრები ცდილობდნენ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის განადგურებას. ჩვენს წინააღმდეგ თოთხმეტი სახელმწიფოს არმია დაიძრა. „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია“! — გამოაცხადა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა. პარტია, იცოდა რა სტალინის სიმტკიცე, მისი ფოლადისებური ნებისყოფა, ფრონტის ყველაზე საპასუხისმგებლო უბნებზე მას აგზავნიდა.

როცა სამოქალაქო ომი დამთავრდა და ჩვენი ქვეყანა მშვიდობიან მშენებლობას შეუდგა, კომუნისტებმა ი. ბ. სტალინი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიეს.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე სტალინი ლენინისაგან სწავლობდა. იგი ამბობდა: არაფერია იმაზე მაღალი და საპატიო, ეკუთვნოდე პარტიას, რომელიც ლენინმა დააარსა და რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდაო.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების შემდეგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში ედგა სათავეში კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და აგრძელებდა ლენინის საქმეს, ლენინის სხვა მოწაფეებთან ერთად საბჭოთა კავშირი მიჰყავდა სოციალიზმის გზით. საბჭოთა ხალხის ამ ხნის განმავლობაში მოპოებული უდიდესი გამარჯვებანი სტალინის სახელთანაა დაკავშირებული. პარტიამ დიდი სტალინის მეთაურობით მეორე მსოფლიო ომში ჩვენი ქვეყანა მიიყვანა ფაშიზმზე გამარჯვებამდე, რამაც ძირეულად შეცვალა მთელი საერთაშორისო ვითარება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაშლილი სამშვიდობო მოძრაობა დიდი სტალინის სახელთანაა დაკავშირებული. სტალინი იყო მშვიდობის მედროშე მთელს მსოფლიოში.

ორი წელი შესრულდა სტალინის გარდაცვალებიდან.

სტალინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია ჩვენი პარტიისათვის, საბჭოთა ხალხისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. სტალინის უკვდავი სახელი მარად იცოცხლებს საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში. სახელოვანი კომუნისტური პარტია მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის დროშით წინ მიუძღვის ჩვენს ხალხს ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მოხდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლებში. ჩვენ საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობას შევუდექით, არავისთან არ გვსურდა ბრძოლა და მეზობლებთან მშვიდობიან ცხოვრებას ვაპირებდით.

მაგრამ მტრები თავს დაესხნენ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას. გერმანელმა გენერლებმა თავიანთი დივიზიები პეტროგრადს მოაყარეს. მაშინ ლენინმა და სტალინმა შექმნეს წითელი არმია, რომელმაც მტერი ფსკოვთან და ნარვასთან გაანადგურა.

გერმანელების კვალზე წამოვიდნენ ცამეტი დიდი სახელმწიფოს დაქირავებული არმიები.

წითელარმიელები ბრძოლებსა და ლაშქრობაში დღედაღამეს ასწორებდნენ. მაგრამ, სადაც უნდა ყოფილიყვნენ და როგორი სიძნელეებიც არ უნდა შეხვედროდათ, ყველგან ახსოვდათ, რომ სამართლიანი ლენინური საქმისათვის იბრძოდნენ.

ბევრჯერ მოხვედრილა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა მტრის რკალში, მაგრამ ყოველთვის, ფრონტის ყველაზე ძნელ უბანზე გამოჩნდებოდა ლენინის ერთგული თანამებრძოლი—იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. ცარიცინში, პერმში, ბალტიის ზღვაზე, ყირიმში, კავკასიაში—ყველგან, სადაც კი საფრთხე იყო, ომის უმძიმეს საქმეს თვითონ ხელმძღვანელობდა, მებრძოლებს ასწავლიდა როგორ გაემარჯვნათ და ურყევი და მტკიცე ყოფილიყვნენ ლენინივით. მებრძოლები კი დაურთავდნენ:

«ლენინივით და სტალინივით».

საბჭოთა ხალხის შვილებს, წითელი არმიის მებრძოლებს ლენინი და სტალინი ჯარისკაცის ერთგული სიყვარულით უყვარდათ. აღმოსავლეთის ფრონტზე მათ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი აირჩიეს ეისკის 195-ე მსროლელი ლეგიონის 1-ლი ასეულის პირველი ოცეულის პირველი ათეულის წითელარმიელად, ხოლო თურქესტანის ფრონტის მებრძოლებმა ლენინს უწოდეს რევოლუციის პირველი წითელარმიელი.

სამხრეთის ფრონტზე პირველი ცხენოსანი არმიის მებრძოლებმა წითელარმიელად ამხანაგი სტალინი აირჩიეს.

ამხანაგ სტალინს ცხენოსნებმა მოწმობა მისცეს. მოწმობაში ეწერა: «ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი ნამდვილად არის პირველი ცხენოსანი არმიის მეოთხე დივიზიის მე-19 ლეგიონის I ესკადრონის წითელარმიელი და უფლება ეძლევა მისი კუთვნილი იარაღის ტარების და შენახვისა». ამ მოწმობას ხელი მოაწერეს ვოროშილოვმა და ბუდიონიმ.

წითელი არმიის რიგებს კიდევ ორი წითელარმიელი შეემატა, ძალა კი ბევრად უფრო მეტი; ყოველმა მებრძოლმა იგრძნო სიამაყე თავის წითელარმიელად წოდებისათვის.

დადგა წითელი არმიის დიადი გამარჯვების დრო. საბჭოთა მიწა მალე განთავისუფლდა მტრისაგან. მაშინ მსროლელებმა ლენინს გაუგზავნეს წითელარმიელის ფორმის ტანსაცმელი და წითელარმიელის წიგნაკი, ცხენოსნებმა კი «თავიანთ დამაარსებელს, მეოთხე დივიზიის მე-19 ლეგიონის I ესკადრონის წითელ კავალერისტს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს» მისთვის მიკუთვნებული იარაღი—საბრძოლო მახვილი მიუძღვნეს.

მოსკოვში, კრემლში, ერთმანეთს შეხვდა ორი წითელარმიელი—ვლადიმერ ლენინი და იოსებ სტალინი, გაუღიმეს, ხელი ჩამოართვეს და ერთმანეთს მიულოცეს გამარჯვება. მესამე კი, ახალგაზრდა წითელარმიელი, მათ მახლობლად იდგა გუშაგად და ხელში მაგრად ეჭირა შაშხანა.

ბ. ემელიანოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ვერეგინიკოვი

ნახ. ა. დავიდოვი

ვალოდია ულიანოვი*

(მოგონებანი ვ. ი. ლენინის ბავშვობისა და ყრმობის წლებზე კოკუშკინოში)

ილია ნიკოლოზის-ძე

ილია ნიკოლოზის-ძის ფოტოგრაფიული სურათები, ჩემის აზრით, კარგად გადმოსცემენ მის სახეს. ის მომცრო ტანის, ხმელ-ხმელი, ძალიან ცოცხალი და მოძრავი კაცი იყო; მეტყველი თაფლისფერი თვალები თითქმის სულ მუდამ უცინოდა.

ილია ნიკოლოზის-ძე ადრე დგებოდა და საბანაოდ მარტო მიდიოდა. ჩვენ ძალიან გვიყვარდა მასთან ერთად მდინარეზე სიარული, მაგრამ საბანაო დაძველებული იყო, მთელი ჯგრო ბავშვებისა ზედ რომ შედგებოდა, იძირებოდა და ხშირად ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს წამოატივტივებდა ხოლმე. ამიტომაც იყო, რომ ილია ნიკოლოზის-ძე უჩვენოდ ცდილობდა გაპარვას, თუმცა ბავშვები ძალიან უყვარდა.

ის ხშირად გვიამბობდა მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სატირულ ნაწარმოებებს, გვეხუმრებოდა და გვიმღერიდა.

ილია ნიკოლოზის-ძის ოხუნჯობანი დიდ სიცილსა და აღტაცებულ ყივილს იწვევდა ბავშვებში.

მიუხედავად იმისა, რომ ოხუნჯობა და ხუმრობა ძალიან უყვარდა, მაინც ნებას არ გვაძლევდა ვინმესთვის დაგვეცინა.

ერთი ასეთი შემთხვევა მახსოვს.

კოკუშკინოში შინ დამზადებულ შუშხუნებს ისროდნენ, რომლებიც ძალიან მაღლა ადიოდნენ ჰაერში და სკდებოდნენ. ამ ამბავს ერთი ნაცნობი ესწრებოდა, რომელსაც კულტურულ და განათლებულ კაცად მოჰქონდა თავი. მან ილია ნიკოლოზის-ძეს ჰკითხა:

— რას იტყვით, ვითომ ზოგიერთი მაღლა ატყორცნილი შუშხუნა ვარსკვლავებს ვერ მისწვდება?

ბავშვებმა სიცილი ველარ შეიკავეთ ასეთი ვარაუდის გაგონებაზე იმ კაცის პირიდან, რომელსაც ასე მოჰქონდა თავი. მაგრამ ილია ნიკოლოზის-ძემ ერთი ისეთი გადმოგვხედა, რომ უტაქტო სიცილი მყისვე პირზე შეგვაცივდა, თვითონ კი მიუბრუნდა იმ კაცს და სერიოზულად, უბრალოდ აუხსნა ასეთი შეხედულების შეუსაბამობა.

იმ ნაცნობის წასვლის შემდეგ ილია ნიკოლოზის-ძემ ძალიან რბილად და ალერსიანად აგვიხსნა მთელი უადგილობა ჩვენი სიცილისა და დაგვარიგა, მარტო უცოდინარობა — სრულიად არაა დასაცინი და ადამიანის აბუჩად აგდებაც სირცხვილიაო.

ილია ნიკოლოზის-ძემ ისეთნაირი დარიგება მოგვცა, რომ არც არავის გვეწყინა და მთელი სიცოცხლე ჩაგვრჩა მახსოვრობაში.

ვალოდიას სიცილი

თუმცა ვალოდიამ და ილია ნიკოლოზის-ძემ ერთნაირი გადამდები, გულიანი სიცილი იცოდნენ, მათი სიცილი მაინც მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან: ილია ნიკოლოზის-ძეს სიცილი თითქოს იჯაბნიდა და ისე შეუკავებლად იცინოდა, ხანდახან ცრემლებიც კი მოადგებოდა თვალებზე, თან ხელებს იქნევდა, თუნდაც ქოლგა, სოკოების კალათა, თუ სხვა რამ ჭეროდა ხელში.

ვალოდიაც ასევე გატაცებითა და გულიანად იცინოდა, მაგრამ, როცა უნდოდა, მაშინ შეიკავებდა თავს და, გარემოების მიხედვით, შეეძლო კიდეც სერიოზულ თუ აღშფოთებულ სიტყვაზე გადასულიყო.

ერთ საღამოს ვალოდია და მე სასეირნოდ წავედით, ერთ მინდორზე გავედით და თივის გაშლილ ზვინზე წამოვწექით. თან ბიძაშვილიც გვახლდა. მან ცას მიაშტერა თვალი და ხმადაბლა რაღაც საოცრად სენტიმენტალური დუდუნი გაბა ღამეზე, ცასა და ვარსკვლავებზე.

— ნეტა რა ენიდან თარგმნი? — ვეკითხები ვითომ სერიოზული ტონით.

ვალოდიამ ხმამაღალი სიცილი ასტეხა. ამ თავშეუკავებელ სიცილს მეც შევუერთდი.

დეკლამატორი ჯერ შეგვიწყრა, მერე თვითონაც გაეცინა.

ვალოდიამ ისეთი გულიანი სიცილი იცოდა, რომ იმათაც კი გააცინებდა, ვისაც ეს სიცილი შეეხებოდა.

უეცრად ვალოდიამ სიცილი შეწყვიტა და თქვა:

— შენმა მოსაწყენმა დეკლამაციამ გაკვეთილი მომაგონა, როცა კარანახის მოლოდინში ღეჭავ და ღეჭავ ძნელ თარგმანს გერმანულიდან, გეგონება, აღმართზე მძიმე ტვირთს მიათრევენო.

იმ ხანებში ვალოდიასთვის დამახასიათებელი იყო ასეთი უეცარი გადასვლა სიცილიდან სერიოზულ ლაპარაკზე და, ცხადია, არავითარი ხელოვნურობა ამ უეცარ გადასვლაში არ იყო.

„ჭიდაობა“

პატარა მინდორზე, არყის ხეების ჭალაში, ვალოდია დაეჭიდა ერთი წლით უფროს და მთელი თავითაც მაღალ ბიჭს, რომელიც იკვეხნიდა, ჩემი მომრევი კაცი არააო. ერთმანეთს ხელები ჩასჭიდეს და ბრძოლაც დაიწყო. უეცრად მოწინააღმდეგემ ფეხი გამოდო, ვალოდია წაიქცა, ზემოდან მეტოქე დააწვა, მაგრამ იმწამსვე წამოხტა და გამარჯვებულის სახით დაიძახა:

— მე მოვერიე!

მისმა უსინდისო ფანდმა, რომელიც ჩვენი ჭიდაობის წესე-

* გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 1 და 2.

ბით დაშვებული არ იყო, ძალიან აღმაშფოთა და, როგორც მოწმემ, განვაცხადე, შეჯიბრი უნდა განმეორდეს-მეთქი. ვალოდიას მოწინააღმდეგემ საკმაოდ უხერხულად, მაგრამ გადაჭარბებული სიფიცხით დაიწყო თავის მართლება, ეგეთი ფანდი არ მიხმარიაო.

ვალოდიამ კი ყური არ ათხოვა არც იმის თავის მართლებას, არც ჩემს ბრალდებას და ჩვეული პირდაპირობითა და თავდაჯერებით სულ სხვანაირად დააყენა საკითხი: კიდეც რომ მოექცე ზემოდან — არ კმარა; საქმე ისაა შეინარჩუნო ეს პოზიცია, ხომ შეიძლება ქვევით მოქცეული ისევ ზევით მოექცესო.

— ძირს მე დავეცი, — ამბობს ვალოდია, — შემდეგ კი ეგ მოექცეოდა ქვეშ.

— როგორ თუ შემდეგ? — ვეკითხები. — მაშინ დრო უნდა განვსაზღვროთ.

გადავწყვიტეთ ნელა დაგვეთვალა ასამდე და თუ ის, ვინც ზევით იყო, თვლის დამთავრებამდე ქვევით არ მოექცეოდა, გამარჯვებულადაც მიგვეჩნია.

შეჯიბრი ხელახლა დაიწყო. მოწინააღმდეგემ ისევ დაუდო ფეხი, ვალოდია ისევ ძირს მოექცა, მაგრამ მალე გამოძვრა და თვლის ბოლომდე ზევით იყო მოქცეული.

უნდა გენახათ დამარცხებულის ნირშეცვლილი და შერცხვენილი სახე.

დაბრკოლება არასოდეს არ შეაჩერებდა ვალოდიას. მარცხი უფრო ულვივებდა სურვილს მიზნის მისაღწევად.

მთელი სულითა და გულით ეძლეოდა ის ყოველგვარ საქმეს, კითხვა იქნებოდა ეს თუ გართობა.

ბავშვებს ხანდახან ყველაფერი მოგვეწყინებოდა, არ ვიცოდით სად წავსულიყავით, რა გაგვეკეთებია... ვალოდიას ვერასოდეს ვერ შეამჩნევდი ასეთ რამეს, ის ყოველთვის რაღაცით იყო გართული და გატაცებული. მასთან ყოფნისას არ ვიცოდით რა იყო მოწყენა. მისი მღელვარე ბუნება ვერ ეგუებოდა ამას. ის გამოგვაფხიზლებდა და აგვიყოლიებდა ხოლმე.

„კაზაკობანა“

მაგონდება ერთი ჩვენი გასართობი.

ვალოდია, მე და ჩვენი ბიძაშვილი „კაზაკობანას“ ვთამაშობდით.

გრძელი შტოებით შეიარაღებულნი დავნავარდობდით მინდვრებსა, ველებსა თუ ხევებში. რომელიმე წყაროს პირას შესასვენებლად გავჩერდებოდით და თან წამოღებული ბოსტნეულითა და კენკრით დავნაყრდებოდით.

ვალოდიას შეეძლო ყოველგვარი თამაში განსაკუთრებულად საინტერესო გაეხადა. ახლაც წინადადება მოგვცა, თვითეულმა ჩვენგანმა რომელიმე ლიტერატურული გმირის სახელი დავირქვათო.

თვითონ ტარას ბულბას სახელი ამოირჩია და ცხენსაც, გოგოლის მიხედვით, ქაჯი დაარქვა. (წარმოდგენილი გვქონდა, ვითომ ცხენებიც გვყავდა). მე ყაზბიჩი დავირქვი და ცხენსაც ყარაგიოზი ვუწოდე (ლერმონტოვის მიხედვით). მესამის და მისი ცხენის სახელი არ მახსოვს — მგონი, მაინ-რიდის რომელიღაც რომანიდან უნდა ყოფილიყო.

კარგად მესმის, მცირე ფიქრის შემდეგ რატომ აირჩია ვალოდიამ ტარას ბულბობა: ჯერ ერთი, ის კაზაკია და ჩვენც ხომ „კაზაკობანას“ ვთამაშობთ, მეორეც ის, რომ მოსწონდა ტარას ბულბა, როგორც დიდი ნებისყოფისა და არაჩვეულებრივი სიმამაცის კაცი.

„კაზაკების“ გათარეშებანი, გოგოლის, ლერმონტოვისა და მაინ-რიდის გმირების შემადგენლობით, შემდეგში საკვლევ ექსკურსიებად გადაიქცა ხევხუვებში წყაროებისა და მდინარეების სათავეების გამოსაკვლევად. ფეხით მივდიოდით უშნას შენაკადის შესასწავლად. აქ ჩვენი შუბებიც გვიწევდა დახმარებას: მათი საშუალებით ვხტებოდით ღელეებზე ჯაგებით დაფარული ხევის ნაპირების გავლისას. სოფელ ჩერემშევოსთან მდინარის პირას ერთი ყორღანი იყო, რომელსაც „მაგნიტის მთას“ ეძახდნენ. ჩვენ იმის გვერდით უნდა ჩაგვევლო ნავით. მდინარე უშნა აქ იმდენად ვიწროვდებოდა, რომ ნავი ნაპირს ეხახუნებოდა და ალაგ-ალაგ ხელითაც გვეხმარებოდა მისი გათრევა.

უფროსებიდან ერთმა გვკითხა, ნეტა რად ეძახიან მაგ ყორღანს „მაგნიტის მთასო“.

ვალოდიამ იმ წამსვე მიაგება პასუხი:

— იქნებ იმიტომ, რომ თავისკენ გვიზიდავს!

ვალოდიას ზოგი გასართობი თუ თავშესაქცევი არ უყვარდა და ჩვენც გადავდებდით ხოლმე სხვა დროისათვის.

— არა, წყარო შემდეგ დავაგუბოთ, — ვამბობდით, — ვალოდიას ეგ არ მოსწონს.

როცა ულიანოვები წავიდოდნენ და ჩვენ, უგუნებოდ და უხალისოდ მყოფნი, ადგილს ვეღარ ვპოულობდით, მხოლოდ მაშინ მივდიოდით „პოვარნაიას“ წყაროზე წყლის დასაგუბებლად და განშორებით გამოწვეული მწუხარების გასაქარვებლად.

„და-ძმანი“

თავისი წლოვანებისათვის შეუფერებელი გულისამჩუყებელი მზრუნველობითა და ალერსით ექცეოდა ვალოდია, ათი წლის ბიჭი, უმცროს დას, რომელიც კოკუშკინოში ორი წლის ჩამოიყვანეს. მარია ილიას-ასულს ვალოდია მაშინ მანიუშას ეძახდა, ისე რომ მახვილს უკანასკნელ მარცვალზე აკეთებდა, შემდეგში კი — მანიაშას უწოდებდა.

ვალოდიას უმცროსი ძმა მიტია მე ოთხი წლის ბიჭი მახსოვს. საოცრად ცოცხალი, ლამაზი და ვერცხლისწყალივით მოუსვენარი იყო. რაიმე ამბის მოყოლისას ისეთი სულმოუთქმელი ლაპარაკი იცოდა, რომ ენაც კი ებმებოდა. დედა მაშა დინჯად აიძულებდა აუჩქარებლად და დალაგებით მოეთხრო თავისი ამბავი. მას იშვიათი აღმზრდელობითი ნიჭი ჰქონდა.

მიტია ძალიან დაინტერესებული იყო ნადირობით და სულ უფროსების ახლოს ტრიალებდა.

მუდამ დაწვრილებით იცოდა, სად, როდის, ვის მიერ და რა გარემოებაში იქნა მოკლული გარეული ფრინველი. თუმცა ცარიელი სანადირო ჩანთით დაბრუნებულ მონადირეებს რომ ჰკითხავდა „რა მოჰკალითო“, მუდამ უხალისო პასუხს იღებდა: „დროო“. სამაგიეროდ, რა სიხარულს იწვევდა პასუხი: ორი ლაინი და სამი ღალღა დავხოცეთო!

ოლია ჩემი დიდი მეგობარი იყო და მუდამ მოუთმენლად მოველოდი კოკუშკინოში მის ჩამოსვლას.

როცა წამოიზარდა, ის ყაზანში ჩვენსა ცხოვრობდა და მუსიკალურ სკოლაში სწავლობდა.

ყოველ დღე გასაოცარი მოთმინებით იჯდა და საათობით უკრავდა ძნელ სავარჯიშოებს, ვერაფრით დაიყოლიებდი მიცემული ნაწარმოების გარდა სხვა დაეკრა, ისე მტკიცედ ასრულებდა მასწავლებელთა მოთხოვნას.

ოლია სულ არ ჰგავდა ვალოდიას, ძალიან ჩუმი და გულჩახვეული იყო და ამ მხრივ უფრო შურა ულიანოვს მომაგონებდა.

ალექსანდრე ილიას-ძე სერიოზული და დინჯი ყმაწვილი მახსოვს.

ჭადრაკის თამაში უყვარდა და ერთდროულად სამ პარტნიორს ისე ეთამაშებოდა, დაფაზე არც კი იყურებოდა.

შურას ადგომას ვერავინ დაახწრებდა და დაწოლითაც ყველაზე გვიან წვებოდა. გვიკვირდა კიდეც, როდისღა სძინავს შურასო. (ალექსანდრე ილიას-ძეს სახლში შურას ეძახდნენ — ჩემი ძმის საშასაგან განსასხვავებლად).

მას ბუნება უყვარდა და ნადირობით გატაცებული მთელი დღეობით იკარგებოდა ხოლმე.

ულიანოვების ოჯახში ყველაზე უფროსი ანა იყო.

ჩვენს ამბავს გავუსწრებ და ვიტყვი, რომ 1887 წელს ანა ილიას-ასული კოკუშკინოში გამოასახლეს პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. ამიტომ ჩვენთან ხშირად ჩამოდიოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთაც არა მარტო ანა ილიას-ასულის ნახვა უნდოდათ, არამედ მისი ხმის გაგონებაც.

ანა ილიას-ასული ბოქაულის მასხრად ასაგდებად, რომელიც უხსნიდა, კოკუშკინოდან გასვლა არაფრით არ შეიძლებაო, ხშირად ეკითხებოდა:

— მაშ, კალოს გაღმა რომ ჭალაა, იქ წასვლაც არ შეიძლება?

— რატომაც არა, ოღონდ თხუთმეტ ვერსს ნუღარ გაცილდებით, — ეუბნებოდა ის.

— ვთქვათ, ასე, თექვსმეტ ვერსზე რომ გავცილდე, რას მიზამთ?

— დაგაპატიმრებთ, — სულელური თავაზიანი ღიმილით უპასუხებდა ხოლმე ბოქაული.

ეს საუბარი ძალიან მოგვწონდა ყმაწვილებს და ჩვენ თვითონაც გვინდოდა მასხრად აგვეგდო ბოქაული.

მიოშაზე გასეირნება

შურა ბევრს გვიამბობდა მდინარე მიოშაზე ლამაზი ადგილების შესახებ (მიოშა კამას შესართავია, კოკუშკინოდან ათ კილომეტრზეა დაშორებული) და ისე დაგვაინტერესა ყველანი, რომ გადავწყვიტეთ იქ წასვლა, რაც მერე არ გვინანია. ერთხმად ვაღიარეთ, ეს ადგილი ჩვენ საყვარელ კოკუშკინოზეც კი ლამაზიაო.

ტყიდან რომ გამოვედით, რომელიც თავისთავად ძალიან ლამაზი იყო, ერთ დაცემულ მინდორზე აღმოვჩნდით, სადაც ქუჩუჩა ტოტებგაშლილი ხეები იდგა. ველის ბოლოს, მკაფიოდ მოხაზულ ნაპირებს შუა, ბრწყინავდა მდინარის განიერი ზოლი. გაღმა ნაპირზე კედელივით აღმართულიყო ფიჭვნარი, რომელიც მდინარეში თავდაყირა ისარკებოდა და მოდი მნახეთო, გვიხმობდა.

გული დაგვწყდა, რომ ნავი არ გვქონდა და გაღმა გადასვლა არ შეგვეძლო. მერე მდინარის ნაპირს გავყევით ნორჩი ხეებით შემოსილ ბექობებამდე, რომლებიც აგრეთვე ძალიან ლამაზ სანახაობას წარმოადგენდა. ამ ადგილს „ქარიანს“ უწოდებდნენ.

მე აღტაცებით შევძახე:

— სწორედ ტურგენევის ბეჟინის ველია! გეგონება დეკორაციაა!

ვალოდია შემესიტყვა, ბეჟინის ველს, აბა, რა უგავსო, მაგრამ დამეთანხმა კი, პეიზაჟი მართლაც ლამაზია და, ცხადია, ყოველნაირ დეკორაციას სჯობსო.

ამის შემდეგ ხშირად დავდიოდით მიოშაზი და იქ ნავიც კი ავიტანეთ.

„შინაური თამაშობანი“

მზის ჩასვლის შემდეგ დიდი და პატარა ჩვეულებრივ დიდი სახლის აივანზე და ყვავილნარის სკამზე ვიყრიდით თავს.

დედა მაშა და დედაჩემი ყვავილების დიდი მოტრფიალენი არიან. ირგვლივ რეზედას, მათიოლას, ბალახვარდას და სხვა ყვავილთა სურნელი ტრიალებს. წერწეტა გეორგინები და ბალბები შუა ყვავილნარში ყელყელაობენ.

მოზრდილებთან თამაშის მოლოდინით აღტაცებული ბავშვები სახლში შევრბივართ უფროსებისათვის სკამებისა და ტაბურეტების გამოსატანად, თვითონ კი აივნის საფეხურებზე ვლაგდებით. იწყება ეგრეთწოდებული „შინაური თამაშობანი“.

ილია ნიკოლოზის-ძე შურას, ანას და ჩემს დას მაშას უხმობს, რომლებიც ჩრდილოეთისკენ მიქცეულ ზემო აივანზე განმარტოებულან. რომელიღაც პატარას წინადადება შემოაქვს „სინონიმები“* ვითამაშოთო.

— ეგრე იყოს! თუმცა უფრო სწორი იქნება, მაგ — „ომონიმები“** ვუწოდოთ, — ამბობს ილია ნიკოლოზის-ძე,— მაგრამ, რაკი ეგ სახელი უკვე დაუმკვიდრდა, ისევ ეგრე დარჩეს. აბა, ახლა კი ვისარგებლოთ ოლიას დაგვიანებით და საჩქაროდ ჩავთქვათ, რა მივცეთ ამოსაცნობათ.

შევჩერდით სიტყვა „მინდორზე“: ჯერ არასოდეს ჩაგვითქვამს.

— პირველი: მინდორი, საითაც ხშირათ ვსეირნობთ, — პურის ყანა.

— მეორე: მინდორი, რომლის ქვეშ ვსეირნობთ, — ქუდის მინდორი.

— არის მესამეც, — იძახის ვალოდია.

— რა? ვერ მოგვიგონია.

— რა და მინდორი, რომელზეც სეირნობს მასწავლებლის კალამი, როცა მოსწავლის ნამუშევარს ასწორებს, — გვიხსნის ვალოდია.

მოვიდა ოლია და სწრაფად გამოიცნო სიტყვა დეიდა მაშას ნათქვამი სამი განმარტების მიხედვით: პირველი — დასეტყვილი, მეორე — დამტვრეული, მესამე — მელნით დათხუპნულიო.

რამდენიმე სხვა სიტყვის ჩათქმის შემდეგ გადავდივართ „ანდაზების“ თამაშზე, რასაც აგრეთვე მაინცდამაინც ზუსტი სახელი არ ჰქვია, რადგან ანდაზების მაგივრად ხშირად ლექსებსაც ჩავუთქვამდით ხოლმე. ამ თამაშის დროს გამომცნობი რიგრიგობით ყველა მოთამაშეს რაც სურს იმას ეკითხება. თავის პასუხში მოთამაშემ მისთვის მიცემული სიტყვა უნდა ჩაურთოს ლექსიდან თუ ანდაზიდან.

გუბურასაკენ მიმავალ ბილიკზე წრიულად დარგული ბებერი ცაცხვები დგანან და ფანჩატურსა ჰქმნიან. გამომცნობს ამ ფანჩატურში ვისტუმრებთ.

გადის შურა. ყოველი მხრიდან წინადადებებს იძლევიან. ჩავუთქვათ ნეკრასოვიდან: „აი სადარბაზო შესასვლელი“! — ყვირიან ბავშვები.

— არ ვარგა, ბევრი ძნელი სიტყვაა: „სადარბაზო“, „დიდის ამბით“...

— მაშინ ევგენი ონეგინიდან: — „იმ წელს შემოდგომის დარი“... — ამბობს ჩემი და მაშა.

— ნეკრასოვსა და პუშკინს საშა მაშინვე გამოიცნობს — უნდა ისეთი რამ ჩავთქვათ, რაც ნაკლებ ნაცნობია, — შეესიტყვა ვალოდია. ბოლოს საშა ვერეტენიკოვის სახუმარო ლექსზე შევჩერდით:

> აწ ვერ ვიხილოთ კუპატი,
> ღამე იყო და ბნელში
> უკვალოდ გაქრა; რა იქნა —
> ვერვინ მიმხვდარა ჩვენში.

— კარგი, დე ჩვენმა საშამ გამოიცნოს ის, რაც თქვენმა საშამ მოიგონა, — ხუმრობით ეუბნება ილია ნიკოლოზის-ძე დედაჩემს.

— ვალოდიას მივცეთ სიტყვა „ბნელში“ — ამ სახით ეს სიტყვა ძნელი ჩასასმელია წინადადებაში.

მაგრამ ვალოდია ღირსეულად აღწევს თავს გაჭირვებას.

შურას შეკითხვაზე, მუხლზე რატომ გიჭირავს ხელიო, ვალოდია მყისვე პასუხობს:

— გუშინდლამ ფეხი ვიტკინე: სინათლე არ იყო, ბ ნ ე ლ შ ი ვწვებოდი დასაძინებლად და ტაბურეტს დავეჯახე.

საჭირო სიტყვა „ბნელში“ ისე ბუნებრივად იყო ჩასმული წინადადებაში, რომ მისი გამოცნობა ძნელი გახლდათ.

მაგრამ შურამ ლექსი ილია ნიკოლოზის-ძის სიტყვაზე გამოიცნო, რაც ბავშვებს ძალიან გაგვეხარდა, და გასვლაც ილია ნიკოლოზის-ძეს მოუხდა; ჩვენს მკაცრად დადგენილ კანონს — გასულიყო ის, ვის სიტყვაზეც გამოიცნეს, — ვერავინ გადაუვიდოდა.

---

* სინონიმი — ერთი მნიშვნელობის სხვადასხვა სიტყვები.

** ომონიმები — სხვადასხვა მნიშვნელობის ერთნაირი სიტყვები.

ისეც ხდებოდა, რომ უფროსებიდან ვინმე, მაგალითად ანა, ადრევე მიხვდებოდა ლექსს, მაგრამ განზრახ იმიტ სიტყვაზე იტყოდა გამოვიცანიო, ვისი გაგზავნაც ეწადა „მაზრაში“ (ეს გამოთქმა ილია ნიკოლოზის-ძის სამსახურებრივ საქმეებზე გამგზავრებასთან დაკავშირებით გვქონდა შემოღებული).

ასეთი თამაშიც გვქონდა: ჩავთქვამდით ერთ ვინმეს და უნდა გამოეცნოთ იმ კითხვების მიხედვით, რომელზეც „ჰოს“ ან „არას“ პასუხობენ. თუ გამომცნობი ისეთ კითხვას მისცემდა, რაზეც ერთნაირად შეიძლებოდა „ჰოს“ ან „არას“ თქმა, მაშინ პასუხი გამომცნობს, ცხადია, ვერაფერ დახმარებას უწევდა.

უნდა შეგვერჩია დამახასიათებელი კითხვა გამოსაცნობი ადამიანისათვის. ამიტომ ხშირად ასეთი კითხვები ისმებოდა:

— კაცია?

— არა. (მაშასადამე, ქალია).

— ბაღშია?

— ჰო.

შემდეგ ბავშვები კითხულობდნენ:

— ლურჯი კაბა აცვია?

— ყვავილი აბნევია გულზე?

უფროსები კი ასეთ კითხვებს სვამდნენ:

— გულადია?

— საზრიანია?

ხშირად კითხვებს კომიკურ იერს აძლევდნენ, მაგალითად:

— დღეს ბოგირიდან ჩავარდა წყალში?

— პირველყოფილი ადამიანია? (ასე მეძახდა ანა იმიტომ, რომ გუბურაზე ჩემი ხელით გაკეთებული აფრიანი ტივით დავსეირნობდი).

ვალოდია ასეთ თამაშობებში ყველას სჯობნიდა.

ვალოდია ასეთ თამაშობებში ყველას ჯობნიდა, ასე გასინჯეთ, უფროსებსაც კი, გამოცანებსა და ლექსებს პირველი სიტყვებიდანვე ხვდებოდა, ხოლო ზოგიერთი თამაშის დროს ისეთ ეშმაკურ კითხვებს იძლეოდა, რომ საერთო ხარხარს იწვევდა.

ერთხელ, როცა ვალოდია იყო „მაზრაში“ წასული, ერთი ჩვენი ბიძაშვილი ჩავთქვით, რომელიც უიღბლო მონადირე გახლდათ და ცხრა შინაური იხვი შემოაკვდა (შინაური იხვებს სროლა არ აშინებდა).

ვალოდია მაშინვე მიხვდა, ვინც იყო, და ასეთი კითხვა მისცა:

— ხომ არ ჰგონია ჩათქმულ პირს, რომ გარეული იხვები მხოლოდ ცხრა გასროლის შემდეგ აფრინდებიან?

მოთამაშეთა ერთსულოვანმა ხარხარმა გასაგები გახადა, რომ ვალოდიამ პირდაპირ კაკალ გულში მოახვედრა.

ვალოდიას გასაწვალებლად ადამიანების ნაცვლად უსულო საგნებსაც ჩავთქვამდით ბოლმე: ჯირკში ჩაჭედილ ნაჯახს, მიწაში ჩარჭობილ საფხეკს, კედელზე მიყუდებულ ანკესს, თუ სხვა ამის მსგავსს.

ძალიან საინტერესო იყო ასეთი თამაშიც: ვინმე ჩვენგანი წაიკითხავდა ამა თუ იმ წინადადებას რომელიმე წიგნიდან, გამომცნობს კი უნდა დაესახელებია ავტორიცა და ნაწარმოებიც.

პირველად მხოლოდ კრილოვის იგავ-არაკებიდან ვკითხულობდით ადგილებს, შემდეგში კი — სხვა კლასიკოსებიდანაც. ვთამაშობდით საყოველთაოდ ცნობილ თამაშს — გამოცანებსაც.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ნახ. ალ. გიგოლაშვილისა

დიდება

დედას ვეხმარები

როცა გაკვეთილს ვამზადებ, სიჩუმე მიყვარს. თუ ვინმემ ხელი შემიშალა, ან ჩემთან შემოვიდა, ხელახლა მიხდება მეცადინეობის დაწყება, რადგან რაც გადაკითხული მაქვს ის ხელახლა უნდა გადავათვალიერო და ისე გავაგრძელო მეცადინეობა.

ჩემსავით, ალბათ, ბევრს ემართება. ამის გამოა, რომ ძალიან ვცდილობ ხელი არ შევუშალო დედა-ჩემს, რომელიც წელს ამთავრებს პედაგოგიურ ინსტიტუტს.

ერთხელ, როცა სკოლიდან დავბრუნდი, დედა ისე იყო საგნების მომზადებაში გართული, ჩემი მისვლა ვერც კი გაიგო. მე ვიფიქრე, რომ ცუდი იქნებოდა ახლა მისთვის ხელი შემეშალა და გადავწყვიტე დედის დაუხმარებლად მესადილა. მართლაც მშვენივრად ვისადილე. არც არაფერი დამიქცევია, არც არაფერი გამიტეხია.

ის იყო სადილობა დავამთავრე, რომ დედაც დამადგა თავზე, გაუხარდა და მაკოცა. მერე ჭურჭელი დარეცხა და ისევ მეცადინეობას შეუდგა.

მეორედ მე უკვე სადილობის შემდეგ ჭურჭელიც დავრეცხე და თავის ადგილზე შევინახე. მართლაც და რა დიდი ბედენაა გამზადებული სადილი მიირთვა და მაგიდა აალაგო, ან ჭურჭელი გარეცხო?!

ახლა უკვე დედას სხვა საქმეებშიც ვეხმარები. ეს საქმიანობა კი არა მღლის, — ძალიან მახალისებს და რაღაც დიდ სიამოვნებას ვგრძნობ.

სუზანა ჩხიკვაძე,

ქუთაისის 21-ე საშ. სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე.

დედას

ჩემო სამშობლო მხარეო,
რას შეგადარო ნეტავ,
თუ არა ტკბილს და მზუნველს,
თუ არა ძვირფას დედას!
შენს სამადლობელს ვამბობ,
შენზე სიმღერას ვბედავ,
სამშობლოსავით ტკბილო,
ჩემო ძვირფასო დედავ!
შენ ჩემზე ზრუნავ მუდამ,
უძვირფასესო დედავ,—
მეც ვგრძნობ ოცნებას შენსას,
მე შენს გულისთქმას ვხედავ.
შენს სამადლობელს მარად
ტკბილად ღუღუნებს ქნარი.
გადაგიხადო მინდა
ამაგი კარგი სწავლით,

რუსუდან გელაშვილი,

თბილისის მე-4 საშ. სკოლის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედას!

თბილისის 36-ე საშუალო სკოლაში პიონერ-მოსწავლეთა საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს რუსული ენის მასწავლებელი, სამამულო ომში გმირულად დაღუპული მეომრის, საბჭოთა კავშირის გმირის შოთა გამცემლიძის დედა, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ნინო გამცემლიძე.

ამა წლის 27 თებერვალს ნინო გამცემლიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად იქნა არჩეული.

სურათზე: მოსწავლეთა ერთი ჯგუფი ნინო მასწავლებელს დეპუტატად არჩევას ულოცავს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა

ჩვენი საჩუქარი დედას

ჩემთვის ყველაზე ძვირფასი დედაა. სულ პატარობიდანვე ვხედავ თუ როგორ შრომობს მთელი დღის განმავლობაში საყვარელი დედა ჩემთვის. იგი მიკერავს, მირეცხავს, მილაგებს ოთახს, მიმზადებს სადილს, მეხმარება გაკვეთილების დამზადებაში და თვითონაც სამუშაოზე მიეჩქარება.

დედა ყველაზე უფრო ჩემზე ზრუნავს. დაინტერესებულია ჩემი ყოველი წვრილმანით, ყველაფერში მეხმარება და მაძლევს რჩევა-დარიგებას, ამიტომაა რომ მეც ყოველნაირად ვცდილობ შევუმსუბუქო დედას შრომა, გავუფრთხილდე მის ჯანმრთელობას.

ჩვენს რაზმში 41 პიონერია და ყველა ეხმარება დედას საშინაო საქმეებში. ჩვენი რაზმის გოგონები თვითონ ირეცხავენ თავიანთ ფორმას, ვაჟები კი კოხტად იუთოვებენ შარვლებს.

აი, მოვიდა რვა მარტი — ქალთა საერთაშორისო დღე. ჩვენ ვცდილობთ ყოველ წელს მოვუმზადოთ ბავშვური საჩუქრები ჩვენს ძვირფას დედებს, მაგრამ ყველაზე კარგი საჩუქარი დედისათვის არის ჩვენი ხუთზე სწავლა, სანიმუშო ყოფაქცევა კლასში, გარეთ და შინ. ჩვენი რაზმიდან წელსაც ბევრმა დედამ მიიღო ასეთი საჩუქარი.

ვალენტინა ჟუკოვსკაია,

თბილისის 25-ე საშ. სკოლის მე-6 კლასის მესამე რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

მშობლიური ზრუნვა არ მაკლია

მას შემდეგ კარგა ხანია, მაგრამ გუშინდელ დღესავით მახსოვს: შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს დავტოვე ჩემი მშობლიური კუთხე საინგილო...

ძალიან დამწყდა გული ტოლ-მეგობრებთან დაშორების გამო. აბა, ვინ მყავდა მე მათ გარდა?! მშობლები დიდი ხნის წინათ გარდამეცვალა. ძლივს მახსოვს დედის ალერსი....

მეორე დღეს დიდ ქალაქში, თბილისში მოვხვდი, გამაოცა ქალაქის სიმშვენიერემ. მალე მე და ჩემმა მამიდამ, რომელმაც თბილისში ჩამომიყვანა, ვაკის საბავშვო სახლის კარები შევაღეთ...

საბავშვო სახლში ჩამრიცხეს და მეც ერთ-ერთი წევრი გავხდი ამ დიდი ოჯახისა. აქ გულთბილად, მშობლიური სიყვარულით მიმიღეს.

მალე საბავშვო სახლის ბავშვებიც დამიმეგობრდნენ. ჩემი სოფლელი ტოლ-მეგობრების ადგილი მათ დაიკავეს ჩემს გულში.

მას შემდეგ სიხარულის, შრომის და წარმატების რვა წელიწადი გავიდა. ახლა 55-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ვარ. ვცდილობ წარჩინებით დავეუფლო ცოდნას, რომ ამით ამაგი გადავუხადო ჩემს საყვარელ საბჭოთა სამშობლოს და კომუნისტურ პარტიას, რომელმაც მე არ მომაკლო დედური ალერსი და რომელიც ხალისიანად ეზრდის.

თამარ ყულოშვილი,

თბილისის ვაკის საბავშვო სახლის აღსაზრდელი, 55-ე საშ. სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე.



ოთარ ჩიჯავაძე

ნახ. ალ. ბანძელაძისა

ზვიგენის კბილი*

იმ დღიდან, რაც ალი შინ დაბრუნდა, ამხანაგების ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. მათ გარეცხილ შარვლებზე და პერანგებზე გაჩნდა სუფთად ამოხვეული საკერებლები. დედის მარჯვე ხელებში მაკრატელმა თავისი საქმე შეასრულა და ალი, მუკფი და ბარეკი თმაშეკრეჭილები და თავისთავით მეტად კმაყოფილნი დადიოდნენ. მაგრამ საკითხი «რა ვჭამოთ დღეს?» ისმებოდა მათ წინაშე გათენებიდანვე და ხშირად გადაუჭრელი რჩებოდა გვიან ღამემდე, როდესაც ჰატარა ფატიმას და ბრაგიმს მშიერ კუჭზე ესიზმრებოდათ ცხვრის მსუქანი კუსკუსი,** ნამძინარევი ხმით ეეჯერებოდნენ დედას პურის ლუკმას და უარის მიღებაზე დიდხანს გულსაკლავად ტიროდნენ.

ნამდვილი დიდი ცვლილება მხოლოდ ბარეკის ცხოვრებაში მოხდა. დედა იმის გამო, რომ ახსოვდა ყავარჯნის დარტყმისაგან როგორ იხსნა ბარეკმა ალი, ან იქნებ იმის გამოც, რომ ბარეკს თავდავიწყებით უყვარდა პატარა ფატიმა და ბრაგიმი, განსაკუთრებული ალერსით ეპყრობოდა მას... ოჯახურმა ატმოსფერომ, რომელშიც თავის სიცოცხლეში პირველად მოხვდა, ბარეკი განაცვიფრა; რომ არ იცოდა რა იყო ალერსი,—მოულოდნელად მიიღო, თუმც არც ისე უხვად, მაგრამ მისთვის საკმაოდ ჭარბად, და ამან ისე იმოქმედა, რომ იერიც კი შეუცვალა დაბეჩავებულ ბიჭს.

ახლა, ნაცვლად პატარა ნადირის მოკიაფე თვალებისა და გაავებული სახისა, ხანდახან გამოიყურებოდა ხოლმე სისულელემდე კეთილი, გამხდარი სახე ნიადაგ დამშეული, ბედისა და ადამიანებისაგან დაჩაგრული ბავშვისა.

სამი მეგობარი გაასკეცებული ენერგიით დაწანწალებდა საჭმლის საშოვრად ქალაქში. ბოლოს, როგორც ყოველთვის, ზღვის ნაპირას აღმოჩნდებოდნენ ან მეთევზეებთან, პორტში, სადაც ოკეანის დიდი გემები შედიოდნენ, ან და სადმე უდაბნოს ქვიან ნაპირას.

ზღვა მათ თავისკენ იზიდავდა.

ახლა უკვე საყვირის ხმაზე შეეძლოთ გამოეცნოთ რომელი გემი შემოდიოდა პორტში—კაბოტაჟისა თუ საბარგო, «ტანკერი» თუ ოკეანის სწრაფმავალი სატვირთო-სამგზავრო «ლაინერი,» რომლის ჩამოშვებულ საბიჯელაზე ასე კარგად ჩაცმული კაცები და ქალები ჩამოდიოდნენ. ისინი მეტყველებდნენ ქვეყნის ყველა ენაზე, გარდა არაბულისა. ტურისტები მოხერხებულ და მამაბეზრებელ გამყიდველთაგან ყიდულობდნენ ნატვიფრი ტყავის ნაწარმს, ხალიჩებს, უდაბნოს მსხვილი ჯოჯოების რუსსა და მიხაკისფერ ფიტულებს, მაჩვზღარაბების ეკლისაგან გაკეთებულ კალმისტრებს, გველის ტყავისაგან დამზადებულ ჩანთებს, მარჯნებსა და სხვადასხვა წვრილმანს.

— სულელები არიან ეს ტურისტები! — აღშფოთებული ამბობდა ბარეკი, — იმის მაგიერ, რომ იყიდონ პური, შემწვარი ღვიძლი და ჩახეთქონ, რაღაც სისულელეებზე ხარჯავენ ფულს.

— სამაგიეროდ, გამყიდველები ჭამენ კარგად!—მწარედ წარმოთქვა მუკფიმ.

— მართალია!.. ჩვენც შევჭამთ კარგად! — ჩემი ძმა ჰუსეინი... — ალის ენა დაეკვნა და თვალები ოდნავ შეუწითლდა, — ჰუსეინი მიამბობდა ხოლმე, რომ აი, იმ მთის გადაღმა, სადაც მეორე კლდოვანი მთა იწყება, ბევრი მსხვილი მწვანე ჯოჯოა, იქ ისინი მზეს ეფიცხებიან ხოლმე და მათი დაჭერაც ალბათ ადვილია. ჰუსეინი მეუბნებოდა, მათი ნაკბენით სისხლი იწამლებაო.

— მწვანე ჯოჯოს ფიტული, რაღა თქმა უნდა, მეტად მოეწონებათ ტურისტებს! — საქმიანად აუარა გვერდი სახიფათოდ დასმულ საკითხს მუკფიმ.

— მე კი ისე ძვირად გავყიდდი რომ!.. —დაიწყო ოცნება ბარეკმა.

— მოდი, ბარემ მოვემზადოთ, — თქვა მცირე დუმილის შემდეგ ალიმ და მუკფის მიმართა:—პაპაშენს ჩოგანი თუ აქვს?

— აქვს! — უპასუხა მუკფიმ, — ჩოგანიც აქვს და ფიტულების გაკეთებასაც გვასწავლის.

* * *

მეორე დღეს, დილაადრიან, როდესაც ზღვის უსაზღვრო სივრცის დასალიერში გავარვარებული მზე გამოჩნდა და ალჟირის თავზე ამართული მთის მწვერვალი ცეცხლწაკიდებულივით ააბრიალა, ბიჭები უკვე ქალაქს გაცილებული იყვნენ.

ალი და მუკფი, დიდი ჩოგნებით ხელში, წინ მიაბიჯებდნენ, ბარეკი მათ უკან მისდევდათ ძველი ვედროთი, რომელშიც ნადავლი უნდა ჩაეყარათ.

გზა მთაზე გადადიოდა, ზეთის ხილის ხეებს შორის იკლაკნებოდა და ტრიალ ველზე ეშვებოდა.

შორს, ფორთოხლებისა და ბროწეულების ხეების სიმწვანეში ჩაფლული ქალაქი მოჩანდა, უფრო შორს ცისკრის მოლურჯო ნისლში, მთის კალთაზე ძლივს მოჩანდა მეორე ქალაქი.

— ბუფარიკი და ბლიდა! — აუხსნა ალიმ.—ჩვენ კი სხვა მხარეზე უნდა წავიდეთ, მარცხნივ.

ბიჭებმა გზას გადაუხვიეს და თავქვე დაეშვნენ.

მთის კალთასთან გზა ორად იყოფოდა. ბიჭები წავიდნენ მარცხნივ, ფართო სასოფლო გზით, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. მზისაგან გადახრუკულ უდაბურ ველზე გზის გასწვრივ აქა-იქ მწვანედ ხასხასებდა კაკტუსის დიდი ბუჩქები. სქელს, თითქოს ერთმანეთზე ასხმულ ვეებერთელა ეკლიან ფოთლებს მეჭეჭებივით ესხა ბატის კვერცხის ოდენა ეკლიანი ნაყოფი. ალი, მუკფი და ბარეკი გზადაგზა დაკვირვებით ათვალიერებდნენ თვითეულ ბუჩქს და ბოლოს იშოვეს რაც უნდოდათ. კაკტუსის

---

* გაგრძელება. იხ. „პიონერი“ №№ 1 და 2.

** კუსკუსი—არაბული ნაციონალური საჭმელი.



ერთ ბუჩქზე ზოგიერთი ნაყოფი უკვე შეწითლებულიყო და გვერდებზე მოყვითალო ფერი გადაჰკრავდა. ალიმ ხელზე ძონძი დაიხვია, მწიფეებს ფრთხილად კრეფდა და ბარეკის მიწოდებულ ვედროში ყრიდა. შემდეგ, კაკტუსის ჩრდილში ჩამომსხდარნი, დანით აცლიდნენ ეკლიან კანს და მადიანად შეექცეოდნენ მოყვითალო, წყლიან ნაყოფს. ბარეკმა, როგორც ყოველთვის, სხვებზე მეტი ჭამა. ნაყოფს ძალიან ტკბილი ნესვის გემო ჰქონდა! «ბარბაროსების ლეღვით» გამომძღარმა მონადირეებმა გზა განაგრძეს.

— ხედავთ იმ კლდოვან მთას?.. იქ არის! — გაამხნევა დაქანცული ამხანაგები ალიმ. მაგრამ იქამდე თითქმის ათი კილომეტრი იყო დარჩენილი.

ერთმა ძველმა, დანჯღრეულმა საბარგო მანქანამ გვერდით ჩაუარა ბიჭებს. ალი და მუკფი ჩამოეკიდნენ, ზედმეტად გამძღარმა ბარეკმა კი ვერ შესძლო დასწეოდა და ბიჭები ძალაუნებურად ჩამოხტნენ.

როგორც იქნა მეგობრებმა კლდოვანი მთის კალთას მიაღწიეს. ალიმ ამხანაგები სხვადასხვა მიმართულებით დაგზავნა. «მონადირეები» ფრთხილად ადიოდნენ გავარვარებულ ქვებზე, რომელთა ნაპრალებში ნახევრად გამხმარი ბუჩქნარი და ბალახი მოჩანდა.

უცბად მუკფიმ ხელი დაუქნია ამხანაგებს, ჩოგანი ასწია მაღლა და რაღაცას მიპარვა დაუწყო. ალი და ბარეკი ფეხაკრეფით გაეშურნენ მუკფისკენ. მათგან თხუთმეტიოდე მეტრის დაშორებით დიდსა და ბრტყელ ქვაზე უზარმაზარი მწვანე ჯოჯო მზეზე თბებოდა.

— მთელი მეტრი იქნება!.. — ოდნავი გაზვიადებით, როგორც ყველა მონადირესა ჩვევია, წაიჩურჩულა ალიმ და თავდასხმის გეგმა შეადგინა. ალი და მუკფი [illegible] მომარჯვებულნი ღია მხრიდან ეპარებოდნენ ჯოჯოს, ბარეკი კი, გედროთი ხელში, ყოველ შემთხვევისათვის ზევიდან უვლიდა. ფეხშიშველანი უხმაუროდ მიაბიჯებდნენ და ფრთხილად უახლოვდებოდნენ თავიანთ მსხვერპლს. უკვე სულ ახლოს მისულმა, ჩოგანმოღერებულმა ალიმ შეამჩნია ჯოჯოს მძივისებურ ყვითელ თვალებზე როგორ მოძრაობდნენ ქვევიდან ზევით ქუთუთოები, როგორ ებერებოდა ქვეწარმავალს ყბები. ღია მწვანე ფერის, გრძელი, კუდაკბილული ჯოჯო მეტად ლამაზი და ცოტა საშინელიც იყო. სამივემ თითქმის ერთდროულად გაიფიქრა: რა ლამაზი ფიტული გამოვა და რა ძვირად შეიძლება გაიყიდოსო. ჯოჯო იწვა და თითქოს ვერ ამჩნევდა უკვე სულ ახლოს აღმართულ ჩოგნებსა და ვედროს.

ბიჭების გულებს ბაგაბუგი გაჰქონდათ. და აი... უცებ, საოცარი სისწრაფით, ქვიდან გადმომხტარი ჯოჯო ჰაერში ისარივით გასწორდა და თვალის დახამხამებაზე ლოდებში გაუჩინარდა.

მერე, ბევრი ძებნის შემდეგ, შეამჩნიეს მეორე ჯოჯო, პირველზე ცოტა მომცრო; მანაც პირველივით ახლოს მიუშვა ბიჭები და განსაცვიფრებელი სისწრაფით გაქრა ხმელ ბარდებში.

ჯოჯოები ბევრი არ იყო, ბიჭები დიდხანს ნადირობდნენ, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ: გასაოცრად მოქნილი ქვეწარმავალი ანაზდეულად ქრებოდა.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ზღვაში შიშველი ხელებით თევზის დაჭერა გინდოდეს! — თქვა ბოლოს გულგატეხილმა ალიმ.

კლდე-კლდე საკმაოდ მაღლა აფოფხებული ამხანაგები, ისევ დაბლა დაეშვნენ.

— ადვილი რომ ყოფილიყო დაჭერა, სხვები დაგვასწრებდნენ! — დაიმშვიდა თავი მუკფიმ. ვედროს ჭრიალითა და ქლოშინით მდუმარედ ჩამოდიოდა ბარეკი.

— შეხედეთ, აი იქ რამდენი ბაღია! — თითი გაიშვირა მუჯიმ მწვანეში ჩაფლული ქალაქისაკენ.

— წავიდეთ და ფორთოხლით გამოვძღეთ! — გაიოცოცხლდა ბარეკი.

ალიმ გაიცინა:

— ისე ლაპარაკობ, თითქოს ყოველ ბაღში გელიან და მზად არიან მიგიპატიჟონ... ბაღები ხომ სხვისია!

— აბა, როგორ? — გაოცდა ბარეკი. — მაშ ვისი უნდა იყოს? რა თქმა უნდა, სხვისია! რაც რამ ქვეყანაზე არსებობს, ყველაფერი სხვისია!...

მეგობრებმა ჩოგნები გადამალეს და მცხუნვარე მზით გადახრუკულ ტრიალ ველზე გასწიეს. შორიდან ბრინჯაოს პატარა დაკარგულ თოჯინებს წააგავდნენ. ძალიან დიდხანს მოუხდათ სიარული ვიდრე ბაღებს მიაღწევდნენ. ყვითელი ფორთოხლები, ლიმონები და გრეიფრუტები, თითქოს მათ გასახელებლად მოჩანდნენ მწვანე ფოთლებში. ეკლიან მავთულს იქით, რითაც ბაღები იყო შემოღობილი, გამვლელ ბიჭებს იჭვის თვალით უყურებდა დარაჯი, ხან კი დიდი ძაღლი გააფთრებული ყეფით აცილებდა თავის სამფლობელოს ბოლომდე.

თანდათან გზის ნაპირას პატარა სახლები გამოჩნდა, რაც ახლოს მიდიოდნენ, შენობები მით უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი იყო და ბიჭები უზარმაზარი ხეებით დაჩრდილულ დიდ მოედანზე გავიდნენ.

ბარეკმა ახალგამომცხვარი პურის სუნი იგრძნო, სახე საცოდავად დაჭყანა და დუქანში შევიდა, მაგრამ წამსვე უკან ჩიტივით გამოფრინდა.

ახალგაზრდა მეპატრონე, რომელიც ამისთანებს ჭიტლაყით დღეში, ალბათ, ათობით ისტუმრებდა, იღიმებოდა კიდეც როდესაც ჩექმის წვერით გამოსტყორცნა გამხდარი ბარეკი. ალიმ და მუჯიმ ბარეკს სახის დამანჭვაზე შეატყვეს, რომ ძალიან ეტკინა, მაგრამ ყასიდად მეორე მხარეს დაიწყეს ყურება, ვითომდა ვერ შეამჩნიეს დუქნიდან ბარეკის «გამოფრენა».

— ბაზარში წავიდეთ! — თქვა ამ ქალაქში უკვე ნამყოფმა ალიმ.

ქალაქის განაპირას დიდი მოედანი ხალხით იყო გაჭედილი. უამრავი ბრმა, მახინჯი და გაძვალტყავებული ავადმყოფი მოწყალებას თხოულობდა.

გამყიდველებს ზედ მიწაზე დაეწყოთ გროვა-გროვა ციტრუსები, ინდის ხურმა, ბროწეული, ვაშლი, წითელი წიწაკა და ქერის ლავაშები. გაქონილ ყუთებში შემწვარი კალიები ეწყო. მაყალზე ბოლავდა და შიშხინებდა ცხვრის ღვიძლი. აქ ვაჭრობდნენ ძველი ტანისამოსით, მძივებით, სპილენძის სამაჯურებით. დალაქიც იქვე მოკალათებულიყო და ხუჭუჭწვერიან კაცს უბრალო დანით პარსავდა თავს. ბიჭები დიდხანს უყურებდნენ დალაქის მარჯვე მუშაობას. დალაქმა ჭუჭყიანი ჩვრით გაუწმინდა ხუჭუჭწვერიანს გაპარსული და ლაზათიანად დასერილი თავი, ფული მიიღო და დიდხანს ევაჭრებოდა მეორე მუშტარს, რომელსაც კბილი სტკიოდა.

— ფული ახლავე მომეცი! — ეუბნებოდა ის. — მერე ტკივილისაგან გამწარდები და აღარ გადაიხდი!

დალაქმა ფული მიიღო, ამოიღო ხუროს დაჟანგული გაზი, ჩაკუნტულ მუშტარს მკერდზე მუხლი მიაჭირა და საკმაოდ მარჯვედ ამოაძრო მოზრდილი კბილი. შემდეგ ალაჰი დაიმოწმა, ხარბი სრულებით არა ვარო, და, ყოველშემთხვევისათვის, მეორე კბილიც ამოაძრო.

— მე უსათუოდ დალაქი გავხდები!.. ხედავთ, რამდენ ფულს იღებს? — შურით წაიბურტყუნა ბარეკმა.

დალაქი ახლა სქელ, გაქონილ ვაჭარს უმტკიცებდა, რომ მთელს აფრიკაში მასზე უკეთ არავის შეეძლო სისხლის გამოშვება და ზეცაში თვალების აპყრობით კვლავ ალაჰს იმოწმებდა.

— ერთმა, მხოლოდ ალაჰმა იცის თავში სისხლის დაკვრით სიკვდილისაგან რამდენი კაცი მყავს გადარჩენილი! — ამბობდა იგი და ტომრიდან ბამბუკის მილსა და დანას იღებდა. დალაქმა მუშტარი ჩააკუნტა, დანით კეფა ჯვარედინად დაუსერა, ჭრილობას მილი მიადო და სისხლს გამოწოვა დაუწყო, თან გზადაგზა იფურთხებოდა.

შორიდან შემწვარი ხორცის სუნი წამოვიდა და მშიერი ბიჭები მაშინალურად იმ მხარეს გაემართნენ, საიდანაც სუნი მოდიოდა; — მაგრამ დგომა და იმის ცქერა, თუ როგორ ჭამდნენ სხვები, უფრო დამტანჯავი იყო. ალი მიხვდა ამას და გაიყოლია ამხანაგები ხალხის ხროვისკენ, რომელიც რაღაცას გარს შემოხვეოდა, ბიჭები წინ გაძვრნენ და დაინახეს მრგვალი, ირგვლივ ტილოშემოხვეული კალათა, რომელშიაც ფაკირებს გველები ჰყავთ ხოლმე. კალათთან იდგა მაღალი ხუჭუჭთმიანი ჭაღარა კაცი. ფაკირი ლაპარაკობდა და მისი მუქი ლურჯად მოციმციმე სახე უძრავი იყო. მხოლოდ შავ და მსხვილ წარბებქვემოდან მრისხანედ ბრწყინავდნენ ფოლადისფერი თვალები.

— არაბებო! ძმანო სისხლით, მიწითა და უბედურებით!.. სიყვარულმა, სიბოროტემ და შიშმა შეიპყრო თქვენი გულები!..

ირგვლივ მდგომი არაბები ადგილზე გაშეშებულიყვნენ და სულგანაბულნი უსმენდნენ.

— სიყვარული და სიძულვილი ადამიანს დიდ საქმეებს აკეთებინებს, შიში კი — დიდსა და პატარა სისაძაგლეებს!..

სრული სიჩუმე ჩამოვარდა, ხოლო შემდეგ ყველა ამოძრავდა და ალაპარაკდა. ფაკირმა აღაპყრო ცისკენ ხელები და ყველა დადუმდა.

— ამოიგლიჯეთ გულებიდან შიში, რომელსაც შეუძლია ლომი ტურად გადააქციოს, არწივი კი — ყვავად!..

ხალხში სიცილი გაისმა, მაგრამ სწრაფად შეწყდა.

— კიდევ დარჩენილან ლომები ატლასის მთის კალთებზე* და არწივები ველებსა და ზღვაზე...

მოვიდა ორი პოლიციელი, ხალხი მუჯლუგუნებით მისწი-მოსწიეს და პირველ რიგში ფეხებგაჩაჩხულნი დადგნენ. ფაკირმა მათ არავითარი ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო:

— ამას წინათ არწივის მართვე — არაბი, შვილი და შვილიშვილი არაბისა — დანით ხელში ზღვაში გადაეშვა და გამოფატრა ვეებერთელა ზვიგენი, რათა ძმა გადაერჩინა ..

ბარეკმა მკლავი ასწია და ის იყო უნდოდა ეყვირა, ის ბიჭი აქ არისო, მაგრამ ალიმ პირზე ხელი მიაფარა.

— გეყოფა ლაპარაკი, გვაჩვენე შენი ოინები, ან და მოშორდი აქედან! — დაუღრიალა ფაკირს პოლიციელმა.

— თუ არ გინდა, რომ საპატიმროში ჩაგაგდოთ! — დაუმატა მეორემ.

— მოიცადეთ და გაჩვენებთ! — მშვიდად უპასუხა ფაკირმა.

დაჯდა მიწაზე, გადახადა კალათს სახურავი და დაიწყო სალამურზე დაკვრა გულისწამღები და ერთფეროვანი მელოდიისა. ყველამ თვალი მიაპყრო კალათის მრგვალსა და ჩაბნელებულ პირს, მაგრამ ჯერ არაფერი ჩანდა. სალამურის ხმა მატულობდა. ახლა კი გამოჩნდა გველის თავი, შემდეგ ტანიც, რომელიც თანდათან სარივით ზევით იწევდა და გრძელდებოდა. გადმოღუნული სამკუთხა თავი თანდათან გაიბერა და კეფაზე უზარმაზარი შავი წრეები დააჩნდა. ფაკირი სულ ახლოს იყო საშინელ, აქეთ-იქით მოქანავე სათვალიან გველთან. ერთი ელვისებური დარტყმა და ადამიანი დაიკრუნჩხებოდა საშინელ წამებაში იმ შხამისაგან, რომლისგანაც არ არსებობს არავითარი ხსნა. მაგრამ არა, ჯადოქარი სულ უკრავდა და თანდათან უახლოებდა გველს თავის სახეს. გველი და ადამიანი ერთმანეთს თვალებში უცქეროდ-

---

* იგულისხმება მაროკოელ ტომთა აჯანყება ატლასის მთებში კოლონიზატორების წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ. უეცრად ჯადოქარმა მარჯვენა ხელი ასწია, გველს თავქვემოთ ჩაავლო და ჰაერში აიტაცა. შიშველ, დაძარღვულ მკლავზე შემოსალტული გველი სისინებდა, საშინელ პირს აღებდა და ორ წინ წამოშვერილ კბილს აჩენდა.

ფაკირმა მარცხენა ხელში თუნუქის ფიალა დაიჭირა და ხალხს ჩამოუარა. ხურდა ფული ჩხრიალით ცვივოდა ფიალაში. ფაკირი ჟანდარმების წინ გაჩერდა და ფიალა გაუწოდა მათ; მაგრამ ჟანდარმები, დაჩვეულნი მხოლოდ ლანძღვას, ცემასა და დაპატიმრებას, ზურგზე ხელდაწყობილნი ელოდნენ მის ჩავლას და არც აპირებდნენ ფულის მიცემას.

— ამ გველის ნაკბენით აქლემი სამი წუთის განმავლობაში კვდება! — ღიმილით მიმართა ფაკირმა ჟანდარმებს და მარცხენა ხელის ნაცვლად, რომელშიც ფიალა ეჭირა, მარჯვენა მიუახლოვა მათ მოსისინე, სათვალიანი გველით. გაფითრებულ ჟანდარმებს უკანდახევა უნდოდათ, მაგრამ ზურგსუკან მდგარი არაბები, თითქოს ჯიბრზე, არ ინძრეოდნენ.

— გამოიმეტეთ რამდენიმე გროში! — იღიმებოდა ფაკირი.

ჟანდარმებმა ამოიღეს ხურდა და ფიალაში აპირებდნენ ჩაყრას, ფაკირმა კი, ვითომ ვერ შევამჩნიეო, გვერდი აუარა მათ.

— ახლა მე თავს დავაკბენინებ!.. ნუ დაიზოგავთ ფულს ადამიანისათვის, რომელსაც სათვალიანი გველი უკბენს! ნუ დაიზოგავთ ფულს!—განაგრძო შუა წრეში გაჩერებულმა ფაკირმა, თან გველის პირდაღებულ თავს გრუზა ჭაღარა თავზე ისვამდა მის გასაღიზიანებლად. გველის გაშმაგება უმაღლეს წერტილს იყო მიღწეული,—ფაკირმა მას თავისი მარცხენა ტიტველი მკლავი მიუახლოვა. შიშის ზარმა მოიცვა ხალხის ზღვა, როდესაც ორი შხამიანი კბილი ფაკირის მკლავს ჩაესო. შემდეგ ფაკირმა ჩააგდო გველი კალათში, დაახურა სახურავი და დაუწყო მაყურებელს ნაკბენი ხელის ჩვენება. ნაკბენ ადგილზე ორმა წვეთმა სისხლმა გამოჟონა. ამ ჯერზე ფიალა გროშებით თითქმის სავსე იყო. ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ფაკირი სიკვდილს არ აპირებდა, ხალხი დაიშალა.

ალი, მუკფი და ბარეკი ყველაზედ დიდხანს იცდიდნენ და მხოლოდ შიმშილმა აიძულა ისინი წასულიყვნენ.

— მე ვიცი, როგორ მოვიქცეთ!—წამოიძახა ბარეკმა.—ბაღებს გზის მხრიდან დარაჯობენ, ჩვენ კი მინდვრიდან უნდა მოვუაროთ...



ფაკირმა მარცხენა ხელში თუნუქის ფიალა დაიჭირა და ხალხს ჩამოუარა.

— ოღონდ სიფრთხილეა საჭირო!—საქმიანად დაუთანხმა მუკფი.

ალიმ ხმაამოუღებლივ ბაღებისაკენ გასწია, ბიჭებიც მას გაჰყვნენ. მშიერ კუჭზე ლაპარაკის ხასიათზე არც ერთი არ იყო; ბიჭები სდუმდნენ, მაგრამ თითოეული გონების დაძაბვით ცდილობდა მიხვედრილიყო, რატომ არ მოკლა გველის ნაკბენმა ფაკირი.

ამ კითხვაზე ცოტას შეეძლო პასუხის გაცემა. საქმე იმაშია, რომ, როდესაც ჯადოქარმა გველი გააღიზიანა, ამით აიძულა იგი მთელი შხამი გამოეშვა, ხოლო ქვეწარმავლის შხამიანი კბილები საკუთარ თმაზე შეამშრალა. დარჩენილი შხამი — საკმარისი სხვა ადამიანის მოსაკლავად — მასზე უკვე არ მოქმედებდა, რადგან ამ რაოდენობისათვის მას იმუნიტეტი ჰქონდა გამომუშავებული.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადრიდდინ აინი

ხაიბარი

☆

სადრიდდინ აინი (1879—1954) ტაჯიკი მწერალია. აინი ტაჯიკური ლიტერატურის კლასიკოსია, იგი ითვლება ტაჯიკური საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლად. მისი ქმნილებები: „ოდინა", „დოხუნდა", „მევახშის სიკვდილი", „ბუხარას ჯალათები", „მონები", „მოგონებები" („ბუხარა") და სხვ. ფართოდაა ცნობილი როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. აინი იყო დიდი მეცნიერიც; გარდაცვალებამდე იგი ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად მუშაობდა.

წინამდებარე ნაწყვეტი ამოღებულია აინის ხუთტომიანი წიგნიდან—„მოგონებები" („ბუხარა"), რომელიც ქართულ ენაზე ითარგმნება.

☆

გვიან შემოდგომაზე ტურებმა უფრო უძალეს ჩვენს სოფელს. ჩვენ ტყის პირას ვესახლეთ და ამიტომაც, ბუნებრივია, ნადირი ჩვენსა და ჩვენი კარის მეზობლების ქათმებს შეუჩნდა. გაბრაზებული მამა ჩემს დედულეთში წავიდა და იქიდან მწყემსის ნაგაზი ჩამოიყვანა. ძაღლს ხაიბარი ერქვა.

მეტად ჭკვიანი ძაღლი გამოდგა ხაიბარი, მალეც გაგვიშინაურდა. მან მაშინვე აიღო ნადირის გეში და მიხვდა რისთვისაც იყო აქ ჩამოყვანილი. ძაღლი ფრთხილად უთვალთვალებდა ქათმებით დახუნძულ ხეებს, ეზოს გარს უვლიდა და ცალი თვალი ტურებისაკენ ეჭირა.

გაზაფხული იდგა, ნუშები ყვაოდნენ. ხაიბარი მაშინ ერთი წლის თუ იქნებოდა. მამაჩემი უთენია წამოდგა და მეჩეთში წავიდა ცისკრის ნამაზზე*. მე მეღვიძა. უცბად ეზოში ქათმებმა კრიახი ატეხეს და მაშინვე რაღაცამ ბანიდან მიწაზე ზღართანი მოადინა. მე მყისვე წამოვხტი, ფიცხლად ჩავიცვი და გარეთ გამოვვარდი. ხაიბარს დავუძახე, პასუხი არ ისმოდა, არც ძაღლი ჩანდა სადმე, ქათმები დავთვალე, ერთი აკლდა. აშკარა იყო ტურამ მოიტაცა.

მინდვრებში გავედი. უკვე კარგად იყო გათენებული და ირგვლივ ყველაფერს ვარჩევდი. ხაიბარის ყეფა შემომესმა, როგორც ჩანდა, დამინახა და ახლა მისკენ მიხმობდა, — ყეფდა და წკმუტუნებდა, მეც გამოვეპასუხე და აქეთ ვუხმე.

ძაღლმა რაღაცას დაავლო პირი და ჩემკენ გამოიქცა. ნახევარი გზა რომ გამოიარა, შედგა, ის რაღაც ტვირთი მიწაზე დადო და მე შემომხედა. შემდეგ კი ისარივით მომეჭრა, კალთაში ჩამაფრინდა და იქით დამიწყო ქაჩვა. შემდეგ ისევ მომწყდა, თავისი ტვირთისკენ გაიქცა, შედგა და დამელოდა.

მივუხვდი რაც იყო: ხაიბარმა, ალბათ, ტურას ქათამი დააგდებინა, მაგრამ ახლა ფრთხილობდა, შიშობდა — კბილებით რომ წამოვიყვანო, ვაი თუ შემომაკვდესო, და მე მთხოვდა: მივსულიყავი და წამომეყვანა ქათამი.

მეც მივედი. მიწაზე მართლაც ქათამი ეგდო. ცოცხალი კი იყო, მაგრამ სულს ძლივს ითქვამდა. ტურას ერთიანად დაეკბინა და დაებრჭყალა ის საცოდავი.

ქათამი შინ გამოვაქციე. ხაიბარი არ მშორდებოდა, გარს მივლიდა, ხტოდა და მალაყებზე გადადიოდა, ყეფდა და ხალისობდა. შინ რომ მოვედით, ძაღლი დედაჩემს ფეხებში ჩაუვარდა, კოტრიალებდა და წკმუტუნებდა, დამნაშავედ ლურსავდა თვალებს: გრძნობდა, რომ მისი დაუდევრობის გამო ტურამ ქათამი მოიტაცა, თანაც უხაროდა, რომ ქათამი ცოცხალი დარჩა.

მთელი ღამე, სანამ არ ინათებდა და მამაჩემი არ გამოიღვიძებდა, ხაიბარი ფხიზლობდა. გარიჟრაჟზე კი, როცა მამა სახლიდან გამოვიდოდა და თაჰარათს** შეუდგებოდა, ხაიბარი ბანზე ასტეგოდა და იქ მისთვის მიჩენილ ადგილას, მშვიდად იძინებდა.

მაგრამ ტურას ქათამებზე მაინც არ აუღია ხელი, იგი ისევ უვლიდა ჩვენს ეზოს, ძაღლს უდარაჯებდა და, დაძინებულს რომ დაიგულვებდა, დროს უხელთებდა და შემოძვრებოდა. აქ კი ხაიბარმაც აუღო გუმანი წუწკ ტურას და დღის წესრიგი შეიცვალა: სანამ კარგად არ გათენდებოდა, მთელი ოჯახი ფეხზე არ წამოდგებოდა და ქათამებიც ხიდან არ ჩამოვიდოდნენ, არ იძინებდა.

მეტად წესიერი და ზრდილი ძაღლი იყო ხაიბარი. ერთ დღეს კი, რაღაც ჭირად, თურმე სამზარეულოში შეიპარა და ტაბაკი დასუნა. ძაღლისათვის დედას წაესწრო და მუგუზალი ეთავაზებინა. მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ხაიბარიც დღე ბანზე იწვა, ღამით კი ძირს ჩამოდიოდა და ქათამებს მწყემსავდა.

ერთ დღეს დედამ მამაჩემს შესჩივლა:

—რა მოუვიდა ამ ძაღლს, ავად ხომ არ გახდა! ეს ორი დღეა არაფერი უჭამიაო.

ელდა მეცა. ისედაც ძალიან ვიყავით მე და ხაიბარი შეჩვეულნი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან ტურას ქათამი დააგდებინა, მე იგი განსაკუთრებით მიყვარდა. წამოვხტი და პურის ნატეხს დავავლე ხელი, — აბა, შეჭამს თუ არ მეთქი, და გარეთ გამოვედი. ხაიბარი ბანზე იწვა. დავუძახე. ჩამოვიდა. გულისფანცქალით გადავუგდე პური, ძაღლი მაშინვე ეცა პურს და შეჭამა. გახარებული შინ შევბრუნდი და ეს ამბავი მშობლებს ვახარე. მამა დედაჩემს მიუბრუნდა: მიდი, აბა, ახლა შენ გადაუგდე პურიო. დედამ პურის ნატეხი ცხვირწინ გაუგორა ძაღლს, მაგრამ ძაღლმა პურს არც შეხედა. ახლა ისევე მე გადავუგდე პური, ძაღლმა ისევ აიღო.

მამამ ეს რომ ნახა, დედას მიმართა:

— ხაიბარი შენზე ნაწყენია, რატომ ვითომ?

აქ დედამ გვიამბო, თუ როგორ წაისწრო ძაღლი ტაბაკთან და როგორ ცემა იგი.

—თუ ასეა, ტყუილა არ ყოფილა შენზე ნაწყენი. ხაიბარი მწყემსის ძაღლია, მწყემსები კი ძაღლებს ტაბაკთან მისვლას არ უშლიან. საწყალი ხაიბარი, ალბათ, ამიტომ არ მოერიდა ტაბაკს! კი არ უნდა გეცემა, არამედ დაყვავებით და ტკბილი სიტყვით უნდა მიგეხვედრებინა, რომ უწესოდ იქცეოდა. შენ კი ამდგარხარ და გიცემია, გაგებუტება, აბა, რას იზამს!

ძაღლი მართლაც რომ ძალიან იყო გაბუტული და კარგახანს არ ჭამდა დედაჩემის მიერ მიძღვნულ პურს.

თარგმანი მ. თოდუაძისი

---

* ნამაზი—მუსლიმანების ლოცვა.

** თაჰარათი—რიტუალური განბანვა ლოცვისა წინ მუსლიმანურ სამყაროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ უნდა მუშაობდნენ პიონერული კედლის გაზეთები

რაზმეულისა და რაზმის კედლის გაზეთი ხელს უწყობს ჯანსაღი პიონერული კოლექტივის ჩამოყალიბებასა და აღზრდას, რგოლების, რაზმებისა და რაზმეულის მჩქეფარე ცხოვრების განზოგადებასა და სასურველი მიზნისაკენ წარმართვას.

როგორც რაზმეულის, ასევე ცალკე რაზმების კედლის გაზეთების მუშაობას რაზმეულის საბჭო ხელმძღვანელობს. გაზეთის გამოშვებაზე პასუხისმგებელია რედაქტორი, რომელსაც რაზმეულის ან რაზმის საბჭო აირჩევს, ან გამოყოფს. რედაქტორი თავის გარშემო შემოიკრებს პიონერულ აქტივს. საჭიროა გაზეთის გამოშვების დრო შეტანილი იქნას რაზმეულის ან რაზმის სამუშაო გეგმაში.

სამუალო და რვაწლიან სკოლებში კედლის გაზეთი ყოველ რაზმსა და რაზმეულს უნდა ქონდეს, დაწყებით სკოლებში კი, სადაც პიონერთა რაოდენობა მცირეა, გაზეთი შეიძლება მხოლოდ რაზმეულში გამოდიოდეს.

კედლის გაზეთის გამოშვების რაოდენობას თვით რაზმეულისა და რაზმის საბჭო უნდა განსაზღვრავდეს. სასურველია გაზეთი გამოდიოდეს თვეში არა უმეტეს ერთისა, ხოლო, თუ რაზმეული პატარაა, მეოთხედში ერთი-ორი გაზეთიც საკმარისია.

რედაქტორმა პირველ რიგში ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ გაზეთში მოთავსებული ყოველი მასალა, როგორც დადებითი, ასევე კრიტიკული ხასიათისა, სინამდვილეს შეეფერებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი დაკარგავს ავტორიტეტს.

რის შესახებ და როგორ ვწეროთ პიონერულ კედლის გაზეთში?

ეს მთლიანად დამოკიდებულია იმ პიონერული ორგანიზაციის საქმიანობაზე, სადაც გაზეთი გამოდის. პიონერულ გაზეთში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბრძოლას აკადემიური მოსწრების ამაღლებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის. გაზეთში, აგრეთვე, შეიძლება დაიწეროს ყველაზე საინტერესოდ მოწყობილი და ჩატარებული შეკრებების, ლაშქრობების, ექსკურსიების შესახებ; პიონერ-მოსწავლეთა შრომითი საქმიანობის, სკოლის ტერიტორიის კეთილმოწყობის, საცდელ ნაკვეთზე მუშაობის, კაბინეტ-ლაბორატორიების სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოებით მომარაგებისა და მრავალი სხვა შინაარსიანი ღონისძიების შესახებ. პიონერებს შეუძლიათ გაზეთის საშუალებით ერთიმეორეს გაუზიარონ გამოცდილება. ამასთან ერთად, გაზეთმა უნდა წარმართოს პიონერთა ორგანიზაცია ასეთი საინტერესო მუშაობისაკენ.

მოძრავი ფიზკულტურული თამაშობანი, სპარტაკიადები, შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეებში, ცოცხალს, მინაარსიანს და მიმზიდველს ხდის პიონერულ ცხოვრებას. გაზეთში უნდა მოთავსდეს საინტერესო მასალები ამ საკითხებზე, დაიწეროს თუ როგორ ჩატარდა ესა თუ ის ღონისძიება, რომელმა რაზმმა, რგოლმა ან პიონერმა მოიპოვა წარმატება, როგორ უნდა მოეწყოს შეჯიბრი. გაზეთში შეიძლება მოთავსდეს მოწინავე ფიზკულტურელთა პორტრეტები და ფოტოსურათები ცალკეულ ღონისძიებათა საინტერესო მომენტებისა.

პიონერულ გაზეთს შეუძლია წამოიწყოს ისეთი საინტერესო ღონისძიებები, როგორიცაა კონკურსი სხვადასხვა თავსატეხის ამოხსნაზე, საუკეთესო კროსვორდის შედგენაზე, მოაწყოს ვიქტორინები, და სხვ.

პიონერთა ინტერესს და სიყვარულს იმსახურებს ის გაზეთი, რომელიც გაბედულად, მოურიდებლად და სამართლიანად აკრიტიკებს ნაკლოვანებებს. ზოგჯერ კედლის გაზეთში ვხვდებით კრიტიკულ წერილებს, მაგრამ ხელმოუწერლად ან ფსევდონიმით. ეს არაა სასურველი. საჭიროა თავის კრიტიკულ შენიშვნებს ავტორმა მოაწეროს ხელი; ეს ბავშვობიდანვე შეაჩვევს მას სიმართლის მოურიდებლად და პირდაპირ თქმას.

საბავშვო გაზეთში კრიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მახვილი ფორმაა სატირა და იუმორი. მაგრამ ამ ფორმის გამოყენების დროს განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რადგანაც გადაჭარბება ამ საქმეში ხშირად მიზნის საწინააღმდეგო შედეგს იძლევა.

ზოგიერთ რაზმებსა და რაზმეულებში უშვებენ სატირული გაზეთის ცალკე ფურცლებს სხვადასხვა სახელწოდებით („წიწაკა", „ზღარბი", „ნიანგი" და სხვ.). სასარგებლოა თუ არა ასეთი ფურცლები? ეს მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ხასიათისაა ეს ფურცლები. საჭიროა რაზმეულის ან რაზმის საბჭომ, — სადაც აუცილებლად უნდა ესწრებოდეს კლასის ხელმძღვანელი, სკოლის დირექტორი ან სასწავლო ნაწილის გამგე, — გულდასმით განიხილოს სატირული ფურცლის გამოშვების საკითხი. ასეთი ფურცლები განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა გამოვიდეს და თავის მახვილს ზარმაცების, გამცდენლების და დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ მიმართავდეს.

სწორად არ იქცევიან ის რედაქტორები, რომლებიც აუცილებლად სთვლიან ვრცელი მოწინავე სტატიები მოათავსონ გაზეთში. ნომრის გახსნა შეიძლება ყოველი საინტერესო მასალით. ფორმის მიხედვით ყველა წერილი და შენიშვნა უნდა იყოს მოკლე, ცოცხალი და სალიტერატურო ენით დაწერილი. პიონერული გაზეთი მიმზიდველად უნდა იყოს გაფორმებული. ნახატები და ფოტოსურათები ზომიერად უნდა განლაგდეს, წერილების სათაურები მკაფიოდ და გასაგებად უნდა დაიწეროს. ამასთან გაზეთი თვით პიონერებმა უნდა გააფორმონ. ამისათვის მხოლოდ საქმის სიყვარული და მონდომებაა საჭირო. ხატვის მასწავლებელს შეუძლია დახმარება გაუწიოს კედლის გაზეთის მხატვარს მასალების განლაგებაში, ფერების შერჩევა-შეხამებაში.

სასურველია პატარა ფურცელზე წინასწარ შედგეს გაზეთის ესკიზი — გეგმა, სადაც განისაზღვრება თუ სად როელი წერილი ან სურათი იქნება მოთავსებული.

მიზანშეწონილია რაზმეულის საბჭომ თავის შეკრებებზე პერიოდულად განიხილოს რაზმეულის, ანდა ცალკეული რაზმის კედლის გაზეთი, მოისმინოს რედაქტორთა ინფორმაცია და სწორად წარმართოს მათი მუშაობა.

ბ. ვარდოსანიძე,

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობასა და პიონერთა შორის მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული კრ

სწავლაც უყვართ, შრომაც უყვართ,
იზრდებიან, მაგრდებიან,
და, საჭირო თუ იქნება,
დაზგებთანაც დადგებიან.

★

ჯუმბერ ხუციშვილი პიონერთა ოთახში ზის და კედლის გაზეთის ახალ ნომერს აფორმებს. მონდომებით მუშაობს პატარა მხატვარი, იცის, რომ თანაკლასელები მოუთმენლად ელოდებიან „ახალ გაზეთს“. აი, ფუნჯის წვერმა თანდათან გამოსახა სკოლის მაღალი შენობა, ფანჯარა მეოთხე სართულზე, ჰაერში მოფრიალე წიგნი... ფანჯარასთან თმაბურჯნული, გაბრაზებული ბიჭი მოჩანს. მე-6 კლასის მოსწავლეები ამ ბიჭში თავის ამხანაგს კეკელიძეს ამოიცნობენ. კეკელიძემ ამას წინათ წიგნი მეოთხე სართულიდან გადმოისროლა, რადგან ბოტანიკაში „3“ მიიღო. „რა დაამავა წიგნმა? ის ხომ არა, რომ კეკელიძეს ნიშანი ვერ მოუმატა?“ კარგად დაუწერია წერილი ნელი კოპილაშვილს. ნელის არც მზია შატბერაშვილი ჩამორჩენია და მკაცრად გაუკრიტიკებია ამხანაგები, რომლებმაც საკლასო ოთახში კრივი გამართეს.

წამდვილად პიონერული, მოწინავე სარედაქციო კოლეგია ჰყავს თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის პიონერული რაზმის კედლის გაზეთს „მათრახს“. მოყვარეს პირში უძრახე — მტერს პირს უკანაო, — ასეთია გაზეთის დევიზი. ჯუმბერ ხუციშვილი, ნელი კოპილაშვილი, ნანა ნაკაიძე, მზია შატბერაშვილი და ცისანა გოილაძე სწორედ ასე იქცევიან. ისინი დაურიდებლად აკრიტიკებენ უდისციპლინოებს, სწავლაში ჩამორჩენილებს და ამით ეხმარებიან როგორც პედკოლექტივს, ისე ამხანაგებსაც.

კრიტიკა და თვითკრიტიკა კარგად აქვთ მომარჯვებული თბილისის სკოლების პიონერულ გაზეთებს და ამას სარგებლობაც მოაქვს. ზოგიერთი პიონერი კი ვერ იტანს კრიტიკას.

თბილისის I საშუალო სკოლის პიონერი ომარ კუპრაშვილი სისტემატურად არღვევდა წესრიგს გაკვეთილებზე და გაკვეთილების შემდეგაც. ამხანაგებმა არაერთხელ მიუთითეს მას, ურჩიეს გამოსწორებულიყო. ომარი მაინც თავისას განაგრძობდა. კედლის გაზეთში მოათავსეს მამხილებელი წერილი კუპრაშვილის მორიგი უდისციპლინობის შესახებ. მან კრიტიკა ვერ აიტანა და თავისი გვარი გაზეთიდან ამოხია, ერთ დანაშაულს მეორე დანაშაული მიუმატა. ამის შესახებ იმსჯელა რაზმის შეკრებამ და კუპრაშვილს საყვედური გამოუცხადა. ომარმა პირობა დადო, რომ გამოსწორდება.

პიონერული კედლის გაზეთები იბრძვიან სასკოლო ქონების დამზიანებლების, ზარმაცების, მოკარნახეების წინააღმდეგ. ხშირად შეხვდებით წერილებს ასეთი სათაურით: „მერხის ჩივილი“, „წიგნის ჩივილი“, „პირდაუბანელი დაფა და პირდაუბანელი მორიგე“, „ყვავს რა ჰქონდა — ბუს გაჰქონდაო“.

პიონერი მოწინავე უნდა იყოს არა მარტო სწავლაში, არამედ შრომაშიც.

იზოლდა გველესიანს შინ ანებივრებდნენ. თმას დედა უვარცხნიდა, წინდებსაც დედა ურეცხავდა. იზოლდა თავისთვის სუფრასაც კი ვერ გაიწყობდა. ერთხელ მას დედა ავად გაუხდა. შრომას მოუჩვეველმა იზოლდამ ვერაფრის გაკეთება ვერ შესძლო. ამან დააფიქრა იგი და მალე ყველა საოჯახო საქმე შეისწავლა. იზოლდას წარმატებამ ამხანაგები გაახარა და 51-ე საშუალო სკოლის რაზმეულის ორგანო „ბედნიერ თაობაში“ ამის შესახებ წერილიც დაიწერა.

თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს შრომით საქმიანობას, შეიძლება დავინახოთ ამავე სკოლის პირველი რაზმის პიონერის ზურაბ ცომაიას მაგალითზეც. ზურაბმა ხელმარჯვეთა წრეში შეისწავლა თვითმფრინავისა და გემის მოდელების, პლანერისა და სხვ. კეთება. ზურაბს ახლა დრო განაწილებული აქვს და კარგადაც სწავლობს.

პიონერები განსაკუთრებულ პატივს სცემენ შრომის მუშაკებს, მიდიან ფაბრიკა-ქარხნებში და ადგილზე ეცნობიან შრომით საქმიანობას.

თბილისის 67-ე სკოლის II რაზმის პიონერები იყვნენ კამოს სახელობის საჩამომსხმელო ქარხანაში. „იქ ჩვენ დაგვითმეს ერთი დაზგა, რომელსაც „პიონერი“ ვუწოდეთ. ოსტატის ხელმძღვანელობით გავეცანით დაზგის ნაწილებს და შევისწავლეთ მისი ამუშავება“, — წერს პიონერი შოთა მიხელაშვილი.

ასეთსავე ექსკურსიებს აწყობენ, აგრეთვე, თბილისის სხვა სკოლების პიონერული ორგანიზაციებიც. თავიანთ შთაბეჭდილებებს მოსწავლეები კედლის გაზეთების საშუალებით მოგვითხრობენ.

კედლის გაზეთში გასწერეს,
კვლავაც გასწერენ — ახია!
არ მოეწონა კრიტიკა —
გაჰკრა ხელი და გახია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის გაზეთები

6904

რამდენი გულწრფელობა და სიყვარულია ჩაქსოვილი პიონერულ კედლის გაზეთებში, რომლებიც მიძღვნილია დიდი ბელადების — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა და იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი! წერილებსა და ლექსებში პიონერები მოგვითხრობენ თავიანთ ერთგულებაზე ბელადების ანდერძისადმი, თავიანთ ღრმა სიყვარულზე მთავრობისა და კომუნისტური პარტიისადმი.

მშვიდობის თემა პიონერული კედლის გაზეთების აუცილებელი თემაა. „ჩვენ მშვიდობა გვინდა“ — ბევრი გაზეთი გვხვდება ასეთი სათაურით ჩვენს რაზმეულებში.

როგორც დავინახეთ, სასკოლო პიონერული კედლის გაზეთები ეხმარებიან პედკოლექტივსა და პიონერულ ორგანიზაციებს მოსწავლეთა აღზრდაში. მაგრამ იმავე რაზმეულებში, სადაც გამოდის კარგი კედლის გაზეთები, გვხვდება, აგრეთვე, უშინაარსო, არაფრისმთქმელი გაზეთებიც.

ხშირად, ერთი რაზმის გაზეთი არაფრით განსხვავდება მეორე რაზმის გაზეთისაგან. წერილები ზოგადი შინაარსისაა, მეორდება თემები. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მეხუთე კლასის ცხოვრება და ინტერესები ზუსტად ისეთივეა, როგორიც მეშვიდე კლასისა.

ზოგიერთი კედლის გაზეთი ცდილობს რაზმის ცხოვრება ისე წარმოგვიდგინოს, თითქოს მათთან ყველაფერი რიგზეა, ანდა პირიქით — ლაპარაკია მხოლოდ ნაკლოვანებებზე. არც ერთი ვარგა და არც მეორე: გაზეთმა რომ თავისი დანიშნულება შეასრულოს, იგი უნდა იყოს, რაც შეიძლება, მრავალფეროვანი. ჩვენი რაზმების ცხოვრება ამის საშუალებას იძლევა. თუ კი რედაქტორი კარგად იმუშავებს და პიონერებიც მეტ დაინტერესებას გამოიჩენენ თავისი გაზეთით.

პიონერული კედლის გაზეთების ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მათში სუსტად არის ასახული მოსწავლეთა სპორტული ცხოვრება. ჩვენ ვიცით, რომ პიონერები დიდი სიყვარულით ეკიდებიან სპორტს. მათ შორის ბევრი უკვე სახელმოხვეჭილი სპორტსმენიცაა. კედლის გაზეთებში კი ამის შესახებ თითქმის არაფერია ნათქვამი, გარდა ერთი-ორი გამონაკლისისა.

პიონერული კედლის გაზეთები კარგი ქართული ენით უნდა მეტყველებდნენ. აქ კი ხშირად გვხვდება ენობრივი და სტილისტური შეცდომები. აი, როგორი ქართულით წერენ თბილისის 68-ე საშუალო სკოლის VII რაზმის კედლის გაზეთში:

„... აი ჩემი პირობა გავუმართლე ჩემს თავს და მეოთხე კლასშიც ვარ ხუთოსანი და კარგი დისციპლინის“.

არც ასეთი გამოთქმაა სწორი: „ამის დაჯერა ძნელია“ (I საშუალო სკოლის IV რაზმის კედლის გაზეთი „ნორჩი ლენინელი“).

საჭიროა თბილისის სკოლების კედლის გაზეთებმა გააუმჯობესონ მუშაობა. ამ მხრივ ჯერ ბევრი აქვთ გასაკეთებელი პიონერულ ორგანიზაციებს.

ბექან ბარდაველიძე

ნახ. რ. ცუცქირიძისა.



მარტოხელა რედაქტორი
წვალობს, ღელავს, ოფლში არი;
თავს ყინული დაუდვია,
მაინც ასდის ოხშივარი.

შვიდი თვეა რაზმეულში
გაზეთი არ გამოსულა,
გასული წლის ნომერზე კი
სოკოები ამოსულა.

ბებომ სარკე დაუჭირა,
დედამ თმები დაუვარცხნა...
ისლა დარჩა, გაკვეთილიც
დაამზადონ იმის წაცლისა!

ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

ჰოუარდ ფასტი

ნახ. კ. მახარაძისა

ტონი და ჯადოსნური კარები*

ტონი და მუზეუმის გამგე

იმ დღეს ტონი სკოლაში არ წასულა. რა თქმა უნდა, ეს ნაწილობრივ ჯადოსნური კარების ბრალიც იყო. ტონი თითქმის დარწმუნებული იყო იმაში, რომ გუშინდელ მუქარას შეასრულებდა: ჯადოსნურ კარებში გავიდოდა და უკან აღარასოდეს დაბრუნდებოდა. დედაც უყვარდა და მამაც, ორივე კეთილი და ალერსიანი იყო, მაგრამ ბავშვი ახლა შეურაცხყოფილად თვლიდა თავს; ამიტომაც შინიდან სამუდამოდ წასვლის ფიქრი არ ასვენებდა. ჯადოსნური კარების იქით, რატომღაც, ყველას ესმის მისი და სწორედ ისე ხდება ყველაფერი, როგორც თვითონვე მოისურვებს. იქ არასოდეს არ მოდის წვიმა, მუდამ მზე ანათებს და საამურად თბილა: ბავშვები მხიარულად თამაშობენ, ქარის წისქვილების ფრთები გამუდმებით ტრიალებენ და ცაზედაც ფაფუკი ღრუბლები დაცურავენ...

მაგრამ მარტო ჯადოსნური კარები არ ყოფილა ტონის სახლში დარჩენის მიზეზი. ეჩვენებოდა, რომ მეტად ვეღარ აიტანდა მისს კლეტთან და ბავშვებთან შეხვედრას. მაშ რატომღა წავიდეს?! ადგა, გატეხა თიხის პატარა სურა, რომელშიც ხურდა ფულს აგროვებდა ხოლმე, და ჯიბე ცენტებით გაივსო.

დედა ძალიან ღელავდა. არ იცოდა, როგორ გაეგებინებინა ბავშვისათვის, რომ ისინი თუ ყვიროდნენ და ნერვიულობდნენ, მისივე გულისთვის; უყვართ ტონი და მიტომაც ასე აწუხებთ მისი ახირება! უნდოდა ეთქვა ტონისთვის, როგორ უყვართ იგი მასაც და მამასაც, რომ ის მათი ერთადერთი იმედია... მაგრამ როგორ გააგებინოს ეს თერთმეტი წლის ბიჭს!...

---

* დასასრული. იხ. „პიონერი" №№ 1 და 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დილას დედას წვრილშვილიანი ავადმყოფი და უნდა მოენახულებინა; იგი ფიქრობდა: „ნეტა შემეძლოს, ჩემს დას რითიმე დავეხმარო! რა კარგი იქნება, ბავშვებიანად მთაში გამგზავნია, რომ ადამიანურად დაისვენონ და სუფთა ჰაერით ისუნთქონო".

იმას კი აღარ ფიქრობდა, რომ თვითონაც ისე ღარიბულად ცხოვრობდა და არც მის ოჯახს აწყენდა ერთი-ორი კვირით ქალაქგარეთ გასვლა! ასეთი ხასიათი ჰქონდა ტონის დედას.

მამა დილით სამსახურში წავიდა. ტონი ტანთ იცვამდა, დედა კი საუზმეს უმზადებდა, თან ტონისთვის სათქმელ სიტყვებს არჩევდა. ტონი მაგიდას მიუჯდა, საუზმის ჭამას შეუდგა, დედა კი მის პირდაპირ დაჯდა და ტონის დაუწყო ცქერა. ოი, როგორ უყვარს დედას ტონი! ტირილიც კი მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა და თქვა:

— ამისგან ნუ გეწყინება, ტონი; ძალიანა სწუხს შენზე და იმიტომ გელაპარაკება ასე.

— რაღას მემუქრება, შენს კარებს დავამტვრევო? — ჩაიდუდუნა ტონიმ.

— ნუ გეშინია, არ დაამტვრევს. ხომ იცი რამდენი საზრუნავი აქვს, ახლა შენც რაღაც უცნაური კარები წამოიწყე... მოთმინებიდან გამოვიდა.

— ჩემი კარები ვის რას უშლის?!

— ნუთუ არ გესმის, ტონი, რომ ეს სულ ზღაპარია, არავითარი ჯადოსნური კარები არ არსებობს. ხომ არ გგონია, ვინმე დაგიჯერებს?!

— მოხუც ექიმ ფორბსს სჯერა ჩემი. მთხოვა კიდეც, რამე მომიტანე იქედანაო.

— ეჰ, სჯობს სულაც ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე. საავადმყოფოში მაგვიანდება. საუზმეს რომ მორჩები, მაგიდა აალაგე და სკოლაში გაიქეცი.

დედა წავიდა. ტონი შინ დარჩა. საუზმის შემდეგ ჭურჭელი აალაგა, წიგნები აიღო და დაბლა ჩავიდა. მაგრამ თანდათანობით გაიმარჯვა იმ გადაწყვეტილებამ, რომ სკოლაში არ წასულიყო და უკანა ეზოში გავიდა.

ძველი საწოლის ბადეზე ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა. რატომ მტრობს ყველა ამ ჯადოსნურ კარებს? ყველა, ექიმ ფორბსს გარდა, ყველა. თითქოს ამ კარების ეშინიათო!... მაგრამ რატომ უნდა ეშინოდეთ?

ტონისაც ბევრი რამისა ეშინია. ახლაც იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ ყველაზე უფრო რისი ეშინოდა.

„მაიკ გრედისა? აი, ჰუსტონ-სტრიტზე რომ ბიჭია. კი, მეშინია. მთელი ერთი წლით ჩემზე უფროსია".

მისს კლეტისა მართლაც არ ეშინოდა.

„დედის და მამის?" — ტონი დარწმუნდა, რომ დედ-მამისა არ შინებია და ამან ძალიან გაახარა.

„ბნელი ღამისა? მეშინია, და ამისა მრცხვენია კიდეც".

„დიდად გახდომისა?" — ჰკითხა თავს ტონიმ და ჩაფიქრდა. ეშინია თუ არა იმისა, რომ დიდი გახდეს, გაიზარდოს? „მინდა გავიზარდო?" — ხმამაღლა თქვა მან.

მაგრამ მწარე სინამდვილეს სად გაექცევი? ტონის არ უნდოდა გაზრდა. მხრები აიჩეჩა და თავის ჯადოსნურ კარებს შეხედა. მწვანედ შეღებილი კარი მზეზე ელვარებდა და ბავშვს ბევრ საინტერესო რამეს პირდებოდა... ტონი ცოცხლად წამოდგა, ჯადოსნური კარი გამოაღო და მეორე ეზოში შევიდა...

* * *

მოხუცი ექიმი ფორბსი ყოველდღიურად — 12-2 საათამდე — ოცზე მეტ ავადმყოფს ღებულობდა. დღესაც, ორჯერ რომ დარეკა საათმა, ექთანმა მოახსენა, მისაღებ ოთახში ერთი ბიჭი დარჩაო.

— ავადმყოფია? — იკითხა ექიმმა ფორბსმა.

— არა მგონია ავად იყოს. იმდენი ურბენია, რომ სულს ძლივსღა ითქვამს. ავადმყოფი ამდენს როგორ ირბენდა...

— შემოვიდეს, — შეაწყვეტინა ექიმმა.

და სულაც არ გაჰკვირვებია მას, როცა ოთახში შევიდა ტონი, რომელიც ზურგს უკან რაღაცას მალავდა.

— რა მოგივიდა? ავად ხომ არ გახდი? — ჰკითხა ექიმმა.

— არა...

— მაშ რა, დღეს უქმეა?

— წმიდა სიზარმაცისა, — გამოუტყდა ტონი.

— ზურგს უკან რას მალავ? ჰოკეის ჯოხები ხომ არ მომიტანე?

— ჯოხების მოტანა ვერ მოვახერხე, სამაგიეროდ, აი, რა მოვიტანე, — ტონიმ ექიმს მიაწოდა ირმის რქებით შემკული გვირგვინი ეროქეზების დიდი ბელადისა.

სად გაჰქრა ერთბაშად ღირსეული თავდაჭერა პატივცემული ექიმისა?! სათვალე ცხვირზე ჩამოუცურდა, ძლივს მოასწრო დაჭერა და ისევ შუბლზე დამაგრება. ხელის კანკალით ჩამოართვა გვირგვინი ტონის და აღტაცებისაგან თავგზა დაკარგულმა აქეთ-იქით ტრიალი დაიწყო. პირველივე შეხედვით შეატყო, რომ ეს იყო ნამდვილი გვირგვინი....

დიდხანს ატრიალებდა ექიმი გვირგვინს, ფანჯარასთანაც კი მიიტანა, რომ სინათლეზე უფრო კარგად დაეთვალიერებინა. მერე ტონის მიუბრუნდა:

— სად იპოვნე ეს გვირგვინი, ტონი მაკ-ტევიშ ლიკი?

— წამოვიღე.

— მოიპარე?

— არა, წამოვიღე, — გაუმეორა ტონიმ.

— მაინც სად წაიყვანდი ამ გვირგვინს?

— გილდჰოლში. მე და პიტერ ვან დობენი ინდოელებთან წასვლას ვაპირებდით, მაგრამ მამამისმა გილდჰოლში გაგზავნა და მეც გავყევი. პიტერი გილდჰოლში შევიდა, მე კი იმ ოთახში შევიხედე, საცა ბურგომისტრებს სხდომები აქვთ ხოლმე გამართული. ოთახში არავინ იყო, მაგიდაზე კი ეს გვირგვინი იდო, მოხუც ინდოელ ბელადს დაეტოვებინა იქ. რკინის მუზარადის გირაოდ. შევედი და ავიღე. არავის დავუნახავარ. მე თვითონაც არ ვიცი, ასე რად მოვიქეცი, მაგრამ, როგორც ხედავთ, შევედი და ავიღე, მინდოდა თქვენთვის მეჩვენებია; ვიცოდი, მოგეწონებოდათ. მერე ისევ დავუბრუნებ. განა ცუდად მოვიქეცი? მაგრამ, ეტყობა, შენიშნეს, რომ გვირგვინი წამოვიღე, რადგან გუშაგებმა ყვირილი ასტეხეს. მე პიტერისათვის აღარ დამიცდია, ჯერ ჰოფმანის თავლაში დავიმალე, მერე კი უკანმიუხედავად გამოვკურცხლე და კარებამდე სულ სირბილით მოვედი. ეტყობა, პიტერმა უთხრა, რომ გვირგვინი მე წამოვიღე, რადგან ორი კაცი ცხენით დამედევნა და ძლივს გამოვასწარი კარებში. მორჩა, მეტად ვეღარ დავბრუნდები იქ, ვეღარასოდეს დავბრუნდები.

ტონის ტირილი წასკდა.

— დაჯექი, — უთხრა ექიმმა ფორბსმა.

ტონი დაჯდა. ტიროდა. ექიმი ფორბსი მოთმინებით უცდიდა. ბოლოს დაამშვიდა ტონი.

— მეტს აღარ გკითხავ, ტონი, სად იპოვე ეს გვირგვინი, — დაიწყო ექიმმა, — ჯერ კიდევ არ დამიკარგავს მთლად გონება და ვგრძნობ, რომ ამაზე არეულსა და გაუგებარს ვეღარაფერს მიამბობ. ვერც იმას გეტყვი, საჭიროა თუ არა დაუბრუნო იგი ხალხს, რომლებიც რამდენიმე ასეული წლის წინათ დაიხოცნენ. ახლა იცი რა ვქნათ, ჩემს მეგობარ აიკთან გავსწიოთ.

ამ კეთილგონივრულ გადაწყვეტილებამდე ექიმი მიიყვანა განწირულებამ. მას აღარ უნდოდა მარტო დარჩენა და ფიქრებისათვის თავის მიცემა: ვეღარ ენდობოდა ამ ფიქრებს. ამიტომ საჭირო იყო გვირგვინი გაესინჯა უფრო დაუინტერესებელ ადამიანს, რომელიც ამ უცნაურ ნივთს ეჭვის თვალით დაუწყებდა ცქერას. ხოლო ინდოელების საკითხში აიკ ჰილმენზე უფრო მცოდნე არავინ ეგულებოდა.

— ჰო, მართლა, — მიმართა ექიმმა ტონის, — ამერიკელი ინდოელების მუზეუმში ყოფილხარ ოდესმე?

ტონიმ თავი გააქნია.

— არ ყოფილხარ? ძალიან კარგი, ახლა წაგიდეო.

ექიმმა გულმოდგინედ გაახვია გვირგვინი ქაღალდში და ტონისთან ერთად ქუჩაში გავიდა.

ტონი არც თუ ისე ხშირად მჯდარა ავტომობილში და ახლა, ექიმის „ფორდით" გამგზავრება რომ მოუხდა, გულსიხარულით აევსო, ცრემლები ერთბაშად შეაშრა.

„არა, — ფიქრობდა ექიმი გზაში, — რაც არ უნდა მომიკვდეს, მაინც არა ვკითხავ ტონის, საიდან მოიტანა ეს გვირგვინი. სხვა რამე რომ ყოფილიყო, კაცს შეიძლებოდა ეფიქრა — მოიპარაო. მაგრამ ტონიმ ისეთი ნივთი მოიტანა, მისი მოპარვა არაფრით არ შეიძლებოდა, რადგან ასეთი რამ შეერთებულ შტატებში არავის არა ჰქონია და აბა, როგორ შეიძლება არარსებული ნივთის მოპარვა?"

ასეთი ფიქრებისაგან ექიმს თავბრუ ეხვეოდა.

— მოვედით! — თქვა კარგა ხნის მოგზაურობის შემდეგ ექიმმა, — ახლა გაბედულად უნდა შევიდეთ ბებერი ლომის ბუნაგში. ჯერ მე ვილაპარაკებ, ხოლო როცა შენი რიგი მოვა, როგორც დაგარიგო, ისე ილაპარაკე.

იგი „ფორდიდან" ჩამოვიდა, ტონის მიუბრუნდა და, თითქოს ეს არის მხოლოდ ახლა მოაგონდაო, დასძინა:

— იცი რა... მე რომ შენს ადგილზე ვიყო, იმ კარებს სულაც არ ვახსენებდი... მე და შენ ეს გვესმის, მაგრამ აიკ ჰილმენს...

— კარგი, — დაეთანხმა ტონი.

მათ დიდის ამბით ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი, მოხუცმა ექიმმა ფორბსმა თვალიც კი ჩაუკრა ტონის და წაიცეკვა.

* * *

ისინი მუზეუმის პატრონის ოთახში ისხდნენ. მანამ ამ ოთახს მიაღწევდნენ, იმდენი რამ ნახა ტონიმ, რომ ახლა თავბრუ ესხმოდა. აბა რას იფიქრებდა, რომ ასეთი მშვენიერი

ტონიმ ექიმს მიაწოდა ირმის რქებით შემკული გვირგვინი ეროქეზების დიდი ბელადისა.

რამ იქნებოდა მუზეუმი: ყოველ ფეხის გადადგმაზე, სულ ახალ-ახალი ნივთებია. ნებას რომ მისცემდნენ, ერთხელ კიდევ მოვა აქა და ყველაფერს გულმოდგინედ დაათვალიერებს. უცებ გაუელვა: „იქნებ ქვეყნად კიდევ იყოს ჯადოსნური კარები?!"

მუზეუმის პატრონის მაღალ-მაღალი, გამხდარი. პირგრძელი, ცისფერთვალება კაცი იყო, გრძელი ხელები და ფეხები ჰქონდა. ექიმმა ტონი წარუდგინა:

— ჩემი მეგობარი და კოლეგა ტონი მაკ-ტევიშ ლიკი.

აიკ ჰილმენმა სერიოზული სახე მიიღო და დიდის ამბით ჩამოართვა ხელი ტონის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცნობის შემდეგ აიკ ჰილმენმა ფორბსს მიმართა:

— ეტყობა, საქმე არაფერი გაქვთ ექიმებს და ამიტომ სხვის დროსაც არაფრად აგდებთ, სხვასაც აცდენთ.

— ისევ ისა სჯობს მე წაგართვა დრო, მაინც მარტოდმარტო ზიხარ და მუქთად ფლანგავ დროს ამ აკლდამაში, — მიუგო მოხუცმა ექიმმა.

— ამ აკლდამაში, როგორც თქვენ ინებეთ უწოდეთ, სამუდამოდ გარდასული ეპოქისა და დიდი ხალხის განძეული ინახება.

— დიდი ამბავი!

— რაო?!

— დიდი ამბავი-მეთქი, გეუბნები! ვერ მიმიხვდი — ზიზღს გამოვხატავ ამ სიტყვით. განძეული! ნეტა ვიცოდე, რა განძეული გაქვს?! ასეთ განძეულს ყველა უბადრუკ მუზეუმში ნახავ.

— დიდ ბოდიშს ვიხდი, ბიჭუნი, — მიუბრუნდა აიკ ჰილმენი ტონის, — მაგრამ თქვენს კოლეგას ჭკუა ხომ ცოტა აქვს და ტაქტი კიდევ უფრო ნაკლები.

— ტაქტიო! — ზიზღით გაიღიმა ექიმმა ფორბსმა.

— ნეტა ვიცოდე, ამ ქაღალდებში რა შეგიხვევია? — იკითხა აიკ ჰილმენმა.

— დიდი არაფერი, ერთი უბრალო ნივთია, რომელსაც ახლა მე და ჩემი კოლეგა ვსწავლობთ...

— და რომელიც სრულიად შემთხვევით წამოიღე, არა? — გესლიანად ჩაუნისკარტა ჰილმენმა.

— დიახ, დიახ, სრულიად შემთხვევით.

— არა, ბებერო ბოტო, მე ვერ გამაცურებ! გიცნობ, რა შვილიც ბრძანდები. ბავშვი გამოიყოლე, რომ ჩემი ყურადღება გაჰფანტო და რაღაც იაფფასიანი ნივთი ეროქეზების ბელადის მუზარადად შემომაპარო?! ვერ მოგართვით! ვისგანაც გიყიდნიათ, იმავე მეძველმანეს წაუღე.

— მუზარადადო? რას ამბობ, რა ბრძანებაა, — მიუგო ექიმმა ფორბსმა და გულუბრყვილო გამომეტყველება მიიღო, — ხომ არა გგონია, რომ რისიმე მოყიდვა მინდა შენთვის?

— რა ვიცი, ჯერ კი არაფერი გიჩუქნია და!

— ტონი, მგონი აჯობებს, წავიდეთ, — იწყინა ექიმმა, — ჩემი მეგობარი მისტერ ჰილმენი არათავაზიანად მოგვექცა.

ამ წალაპარაკებით გაოგნებულმა ტონიმ წამოდგომა დააპირა, მაგრამ მისტერ ჰილმენმა ხელით ანიშნა დაჯექიო. მერე თავისი გრძელი თითით ექიმს დაემუქრა და ხმამაღლა შეეკითხა:

— ამ ქაღალდებში რა შეგიხვევია?

— არაფერი. სრულებითაც არაფერი.—ამ სიტყვებთან ერთად ექიმმა ფორბსმა ქაღალდი გახსნა და გვირგვინი მაგიდაზე დადო.

ტონი სახტად დარჩა: მუზეუმის მეპატრონესაც ისეთი სახე გაუხდა, როგორიც ექიმს, როცა მან პირველად დაინახა გვირგვინი. ჯერ ენა დაება და ვერაფრით ვერ მოახერხა ხმის ამოღება, მერე, რაკი სიტყვის თქმა ვერ შესძლო, მაგიდისკენ დაიხარა და ისე დააშტერდა გვირგვინს, რომ ტონის შეეშინდა — თვალები ბუდიდან არ გადმოსცვივდესო. ფრთხილად შეეხო; შემდეგ უფრო გაბედულად ჩასჭიდა ხელი, შეატრიალა და ხარბად დაუწყო თვალიერება. ბოლოს ყოველგვარი დარბაისლობა დაივიწყა, კაბინეტის კარებს მივარდა და ისე დაიღრიალა, რომ ერთბაშად დაარღვია მუზეუმის დარბაზებში გამეფებული სამარისებური სიჩუმე.

— ეტკინს!—ყვიროდა იგი,—მისს მორისონ! გოლდსტეინ!

—ნეტა ვიცოდე, ამ ქაღალდებში რა შეგიხვევია?—იკითხა აიკ ჰილმენმა.

რამდენიმე წუთში მუზეუმის თანამშრომლებმა კაბინეტში მოიყარეს თავი და ეროქეზების დიდი ბელადის გვირგვინს შემოეხვივნენ. მოხუცი ექიმი ფორბსი დინჯად იჯდა სავარძელში, ეშმაკურად იცინოდა და ტონის თვალს უპაჭუნებდა ხოლმე.

* * *

ერთი საათის შემდეგ, ექიმი იმავე სიდინჯით და სიმშვიდით უდიმოდა აიკ ჰილმენს, რომელიც მას უყვიროდა.

— რის ექიმი ხარ! — ყვიროდა ჰილმენი, — რისი მეცნიერი! შენ ყაჩაღი და მძარცველი ხარ!

— თუ გინდა — დაიტოვე, არა და კი არ გეხვეწებით, — აუღელვებლად მიუგო ექიმმა. — შვიდასორმოცდაათი დოლარი ღირს, ერთი ცენტიც კი არ დაკლდება. როგორც გენებოს.

— რით ვერ გაიგე, რომ ჩვენს მუზეუმს ამდენი ფონდები არა აქვს.

— ეგ ხომ მუდამ აგრეა: არც ერთ მუზეუმს არ აქვს ხოლმე ფონდები. მე კი სინდისი მქეჯნის, ჩვენი მეგობრული დამოკიდებულების გამო ჩემი კოლეგა ტონი მაკ-ტევიშ ლივი არ დავაზარალო-მეთქი. ტყუილ-უბრალოდ ნურც შენ ცდები და ნურც ჩვენ გვაცდენ. ბოლოს და ბოლოს სხვა მუზეუმები რას გაუწყვია; კერძო კოლექციონერებიც საკმაოდ ბევრნი არიან; ან თუ არა და, რაღა სხვას მივცე, ბარემ მე დავიტოვებ! წავიდეთ ტონი!

— დაიცადეთ! — შეჰყვირა ჰილმენმა და გვირგვინს ხელი წაავლო. — შენ მართლაც არ გაგიკვირდება, რომ სხვა მუზეუმს მიუტანო! მერე და ჩვენი ნახევარსაუკუნიანი მეგობრობა აღარაფერია?! ასეც არ შეიძლება ეს მაინც მითხარი, სად გიპოვნია.

— აკი გითხარი, ჩემი კოლეგა ტონი მაკ-ტევიშ ლივის არის-მეთქი.

— მერე მე საიდან ვიცი, იქნება ყალბი გვირგვინია, სახლში გაკეთებული!

— ამისათვის გაძლევენ ჯამაგირს? — მშვიდად მიუგო ექიმმა, — კაცი რომ ავად გახდება, მაშინვე შევამჩნევ ხოლმე. შენ თუ ვერ ამჩნევ, რომ ეს ეროქეზების დიდი ბელადის გვირგვინია — ჩალის ფასადაც არ ღირხარ!

ჰილმენს თითქოს არც კი გაეგონოს ეს სიტყვები, ტონის მიუბრუნდა:

— სად იპოვეს გვირგვინი, შვილო?

— ამას ვერ გეტყვით, სერ. — მიუგო ტონიმ.

— ესე იგი, არ იცი!

— ესე იგი, მე ვურჩიე ნუ იტყვი-მეთქი, — ტკბილად მიუგო ექიმმა ფორბსმა.

— იქნება ნაპარავია.

— საიდან უნდა მოეპარათ? — მოუჭრა ექიმმა. — ასეთი ნივთი ამერიკაში რომ ყოფილიყო სადმე, შენც ხომ გეცოდინებოდა?! ხოლო რაც არ არის, იმისი მოპარვა არც შეიძლება. ხომ ასეა? მაგრამ ამდენი დრო აღარა მაქვს, ავადმყოფები მელოდებიან, ტონისაც ეჩქარება. უნდა წავიდეთ!

— ხუთასი დოლარი! — შეეკედრა ჰილმენი.

— აიკ, — სერიოზულად უთხრა ექიმმა ფორბსმა, — ჩვენი ფასია შვიდასორმოცდაათი დოლარი.

— კარგი, ჯანდაბას, მძარცველო, — ჩაიდუდღუნა ჰილმენმა, — მაინც შენი გაიტანე. ახლა კი ჩემია ეს გვირგვინი. თითსაც ვერ დააკარებ.

— ბანკის ქვითარი ტონი მაკ-ტევიშ ლივის სახელზე გამოწერე, — გულკეთილი ღიმილით უთხრა ექიმმა ფორბსმა.

ისინი კვლავ ჩასხდნენ ძველ „ფორდში“ და შინისკენ გასწიეს.

— ერთი რამ მინდა გკითხო, შვილო, — მიმართა ექიმმა ფორბსმა ტონის, — ჩვენ ახლა თითქმის ამხანაგებივით ვართ, კარგი ამხანაგები კი ერთმანეთს მუდამ სიმართლეს ეუბნებიან. მინდა ვიცოდე, მართლა ხომ არ მოგიპარავს ეს გვირგვინი? რა თქმა უნდა, სამასი წლის წინათ მცხოვრებ ადამიანს ვერ მოპარავდი! ისეთს ხომ არავის მოპარე, ვინც დღესაც ცხოვრობს და კარგად არის? მართალს მეტყვი?

— არ მომიპარავს, — მიუგო ტონიმ.

— კეთილი და პატიოსანი. ოდესმე იქნებ უფრო დაწვრილებით მიამბო ეს ამბავი. ახლა კი მეტს აღარაფერს გკითხავ. ახლა შენ ერთბაშად ფულიანი კაცი გახდი და ამან იქნებ ხათაბალას გადაგკიდოს: ისევ მე მიგიყვან სახლში და შენს მშობლებს მოველაპარაკები.

— მადლობელი ვარ, ექიმო, — მიუგო ტონიმ, — იცით რა, — გაუბედავად განაგრძო მან, — თქვენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხართ, თქვენისთანა მეგობარი ჯერ არა მყოლია. აღარც კი ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა.

ექიმს გაეღიმა.

— ესე იგი, მე ვურჩიე ნუ იტყვი-მეთქი, — ტკბილად მიუგო ექიმმა ფორბსმა.

— მადლობა არც არის საჭირო, — უთხრა მან, — ამდენი სიამოვნება ჩემს დღეში არ მიმიღია. მაგრამ იცი რა, ტონი, ასე მგონია, რომ მეტად აღარ გახვალ შენ იმ ჯადოსნურ კარებში.

იქნებ უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ტონიც ასე ფიქრობდა.

* * *

შეიძლება აქვე დაგვემთავრებინა ჯადოსნური კარების ისტორია, თუმცა ტონის იქნებ ეთქვა, ეს ისტორია სწორედ ახლა იწყებაო. რა გაეწყობა, ეს შენ თვითონ გადაწყვიტე, მკითხველო.

ტონიმ დიდი სიხარული მიანიჭა ორ უსაყვარლეს ადამიანს — დედას და მამას. განა ფულით! ფული აქ რა მოსატანია! ფული თავისთავად არაფერს არა ცვლის. საქმე ის არის, რომ ტონის ხასიათი შეეცვალა, სულ სხვაგვარი ბიჭი დადგა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ფულიც ძალიან გამოადგათ. დიდი ნაწილი ამ თანხისა გადასდეს ტონის ოჯახის ქირად, კოლეჯისათვის; დანარჩენით კი დედამ თავისი ავადმყოფი და და ორი დისწული წაიყვანა ქალაქგარეთ დასასვენებლად.

მთელი ორი კვირა ტონი და მამამისი მარტონი დარჩნენ სახლში და ძალიანაც დამეგობრდნენ; ისეთივე მეგობრობა დამკვიდრდა მათ შორის, როგორიც ტონისა და მოხუც ექიმს ფორბსსა ჰქონდათ.

ამის შემდეგ დიდხანს აღარ გაუვლია, რომ მოხუცი ექიმი ფორბსი გარდაიცვალა. ამ შემთხვევამ აიძულა ტონი უფრო სერიოზულად ჩაფიქრებოდა ცხოვრებას. ხომ ძალიან მოხუცი იყო ექიმი ფორბსი, მაინც ძალიან დაანაღვლიანა მისმა სიკვდილმა ტონი: იგი პირველად ჰკარგავდა ახლობელ, გულით საყვარელ ადამიანს, და სწორედ მაშინ გადაწყვიტა მან მტკიცედ, ისეთივე ყოფილიყო, როგორიც იყო მოხუცი ექიმი ფორბსი.

ამრიგად, მკითხველო, ტონიმ ვერ მოასწრო ექიმისათვის ეამბნა იროქეზების ბელადის ნამდვილი ისტორია... თუმცა ვინ იცის, იქნებ უამბო კიდეც. ეს შენ თვითონ გადაწყვიტე. მე მხოლოდ ის მინდა გითხრა, რომ ექიმ ფორბსის გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ, როცა ტონი თავის ეზოში იჯდა, მოტ-სტრიტზე, უცებ მოუნდა ერთხელ კიდევ გასულიყო ჯადოსნურ კარებში. მაშინვე ადგა, კარებთან მივიდა, გამოაღო და ერთბაშად მეზობელი სახლის ნაგვითა და ხარახურით სავსე ეზოში აღმოჩნდა. რამდენჯერმე სცადა ასე, მაგრამ არაფერი გამოდიოდა: ჯადოსნურმა კარებმა დაჰკარგა თავისი თვისება, ჩვეულებრივ კარებად იქცა.

მას შემდეგ ტონის აღარც უცდია ჯადოსნური კარების გაღება და ძველ, მშვენიერ ქვეყანაში შესვლა. იქნებ უცნაურად გეჩვენოთ, მაგრამ ჯადოსნურმა კარებმა მაინც თავისი გააკეთა: ტონი იზრდებოდა და ცდილობდა თავისი კეთილი მოხუცი მეგობრის მსგავსად ექიმი გამოსულიყო; იგი თანდათანობით ხვდებოდა, რომ ცხოვრება, ნამდვილი ცხოვრება, იმაში მდგომარეობს, ერთმანეთის მიყოლებით სულ ჯადოსნური და ჯადოსნური კარები აღო. მაგრამ ამას მხოლოდ მამაცი ხალხი თუ მოახერხებს. ზოგ კარს ვერც გასაღებით გააღებ, ვერც სახელურით—უნდა გატეხო და ისე შეხვიდე; ამისათვის კი დიდი მამაცობაა საჭირო, რადგან ეს კარები დატანებულია უვიცობისა და ცრურწმენის, შიშისა და უსამართლობის კედლებში. მაგრამ ვისაც მამაცობა გამოაჩნდება და ამ კარებში გავა, იმაზე ნაკლებ ჯილდოს როდი მიიღებს, რაც პატარა ბიჭმა მიიღო თავის პირველ ჯადოსნურ კარებში გასვლით; არის კარები, რომელთაც ისეთი მშვენიერი თავგადასავლებით სავსე ცხოვრებაში შევყავართ, რასაც პატარა ბიჭი ვერც კი იოცნებებდა...

თუ გაინტერესებთ, რამდენად მართალია პირველი კარების ამბავი, ან იროქეზების ბელადის გვირგვინი საიდან გაჩნდა, უმჯობესი იქნება თვითონ ტონისა ჰკითხოთ. თუმცა ეს იმდენი ხნის ამბავია, რომ, ალბათ, ტონიც გაიღიმებს და გეტყვით: ამ საიდუმლოებას ვერავის გავუმჟღავნებო.

შენ კი, მკითხველო, რა გენაღვლება, შეგიძლია ბევრი რამ ივარაუდო, მაგრამ დროა უკვე იცოდე, როგორც ტონი მიხვდა თავის დროზე, რომ სასწაულებს გონიერი ხალხი ახდენს და არა ჯადოსნობა და შავი მაგიები.

აქვე უნდა გითხრათ, სულაც არ გამკვირვებია, როცა გავიგე, რომ ტონის, თავისი დიდი ხნის გულმოდგინედ დაგროვილი ცენტებით, ერთ ძველმანების დუქანში, ბაუერი-სტრიტზე რაღაც ნივთი უყიდნია. იმ დუქანში საიდან გაჩნდა ეს ნივთი? თუ ნიუ-იორკს იცნობ კარგად, ისიც გეცოდინება, რომ იმ დუქანში, ბაუერი-სტრიტზე, რასაც მოისურვებ ყველაფერს იპოვი.

მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია. ტონი კი თავის საიდუმლოს კარგად ინახავს.

თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა.



ჯანი როდარის ლექსები

*

თანამედროვე იტალიელი ჰოეტი ჯანი როდარი დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში.

«მე ყოველთვის ბავშვებთან ვარ, იმიტომ, რომ ვმუშაობ ყოველკვირეულ ილუსტრირებულ პროგრესულ ჟურნალ „პიონერში“, რომელიც ბავშვებისათვის იბეჭდება. მინდა ვასწავლო ჩვენს ბავშვებს სიტყვები: «მშვიდობა», «თავისუფლება», «შრომა», «მეგობრობა ყველა ხალხთან», — წერდა ჯანი როდარი ამ რამდენიმე ხნის წინათ საბჭოთა მკითხველისათვის დაწერილ წერილში.

მართლაც, კომუნისტი პოეტი წარმატებით აღწევს თავის მიზანს; შესანიშნავ ლექსებში გასაგები, ნათელი საღებავებით გვიხატავს იტალიის მშრომელი მასების, იტალიელი ბავშვების დუხჭირ ცხოვრებას და მათ ბრძოლას უკეთესი მერმისისათვის. ჯანი როდარი მშვიდობისა და თავისუფლების, ხალხთა შორის ძმური თანამშრომლობის, ინტერნაციონალიზმის დაუცხრომელი მომღერალია.

ვბეჭდავთ ჯანი როდარის ლექსებს, რომლებიც თარგმნა მ ურ მ ა ნ ლ ე ბ ა ნ ი ძ ე მ.

*

ღია ბარათები ბრწყინვალე ხედებით

ღია ბარათები
ბრწყინვალე ხედებით,
ელვარე ფერებით,
მღელვარე ფერებით,
უხვად იბეჭდება,
უხვად იყიდება,
დასცქერენ,
სტკბებიან
უცხოელები...

მილანი — თვისი
განთქმული ტაძრით,
რომი — გუმბათების
ცისფერი ლაშქრით,
პიზა — ძველსა თუ
ჩვენს ახალ დროში,
განთქმული მარად
წახრილი კოშკით...
ზღვა და ვულკანი
შვენის ნეაპოლს,
ვულკანის კვამლი
ლაჟვარდს მიაპობს.
ოკეანეში
მიმავალ გემით,
აჰა, ზღვისპირად
გენუაც ჩემი...

ეს — გარეთ! მაგრამ...
სხვა არის შიგნით —
გადავიხედოთ
ბარათებს იქით!

იქნებ მართალია, —
ნავებს დააქროლებს
მთელი ვენეცია და
მღერის ბარკაროლებს?*
იქნებ ნეაპოლმაც
მღერით გაათენა,
ვულკანს შეჰღიმის და
ცეკვავს ტარანტელას?**

ვინ იცის?! მაგრამ...
ვერ ვხედავ ჯერა!
მე მხოლოდ ჩემი
თვალების მჯერა.

ნება გვიბოძეთ, ბატონებო,
წესითა და რიგით,
გადვიხედოთ ღია
ბარათების იქით;
მოვისმინოთ, ხალხი,
ხალხი რასა ჰყვება;
ვინ იცინის,
ვინ ტირის,
ვინ უვახშმოდ წვება;
ვის უხარის თოვლი,
ვის ძონძები ჰფარავს —
ძილი ჩინებული აქვს,
ოღონდ —
ქოხი არ აქვს...

გადვიხედოთ, ბატონებო,
იმ ბარათებს იქით,
ზედ რომ ტურფა ბაღებია
და ტაძრების რიგი...

ჩ ი ჩ ო

ჩიჩო სარდაფში ცხოვრობს, სანაგვე ყუთის წინა;
ჩიჩო სარდაფში ცხოვრობს, ჭრიალა ტახტზე სძინავს...
ფეხმოქცეული სკამის, ძველი მაგიდის გარდა,
ავეჯის მსგავსი რამე არ აბადია სარდაფს.

ჩიჩო სარდაფში ცხოვრობს, კარგად ვერც ხედავს სარკმელს,
მაგრამ თუ შედგა სკამზე: უმალ გაჩნდება საქმე:
გადი-გამოდის ქუჩა, ჩიჩოს სარკმელთან ჩქარობს.
ბიჭს შეუძლია მთელ დღეს ფეხსაცმელები თვალოს.

არის ბაღებიც ქვეყნად, ყვავილთა ფანტელებიც;
მზეში ოქროდ და ვერცხლად იმსხვრევა შადრევნებიც,
შავ სარდაფში კი ბნელა, თვალი ვერაფერს ხედავს,
და სველ კედლებზე ნელა მომწვანო წუმპე წვეთავს...

თითი დააწე კედელს! სველია, განა, ბიჭო?
ჩიჩო, სარდაფის ბიჭო, ჩიჩო!

* ბარკაროლა — ვენეციელ მენავეთა სიმღერა.
** ტარანტელა — ცეკვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგადური



მეგადური,
მეგადური,
რას დაეძებ ზღვაში?
— იქნებ ბედად
რამე მოჰყვეს,
ზღვაში ბადეს გავშლი.

გავალ ზღვაში,
ბადეს გავშლი,
იმედი მაქვს ბადის,
იქნებ ტუფლი დავიჭირო,
იქნებ ბიჭმა გაიცინოს,
ფეხშიშველი დადის.

ჩავუარე გუშინ ბაზარს,
ბავშვის ტუფლი ვნახე —
ფეხზე კარგად მოერგება,
ოღონდ
ჯიბეს გახევს...

რომ უყიდო ბიჭს ტუფლები
და საკაბე გოგოს,
უნდა გქონდეს გასაყიდად
ბარე ორი ქაშაყი და
ბარე ორი ლოქი!

ფოსტალიონი

ჩვენ ფოსტალიონს
მხიარულად
მივძახით გზაზე:
— სად მიაქროლებ
ველოსიპედს
ამ დილით ასე?

— კვარტალის ბოლოს,
ალბათ, იცით
რკინის ჭიშკარი —
სინიორასთან
წერილი მაქვს,
იქით ვიჩქარი.

— მერე და, რაო,
რა სწერია
ბარათში, ძია?
— „ნუ მელოდები,
შენი შვილი
ციხეში გდია.

ქარხნის კედელზე —
დე, ნურც ოდეს
დაიღრუბლება —
დავწერე ცარცით:
„მშვიდობა და
თავისუფლება“.

თუმც უშეცდომოთ
და უნაკლოდ
დავწერე ასე,
ნუ მელოდები,
შენი პირმშო
ციხეში ჩასვეს...

გავდა სტრიქონი
იაგუნდის
მძივების აცმას,
მაგრამ ბოლოში
დამავიწყდა
წერტილის დასმა.

დედი, ციხეში
არ დამტოვო
გულდაწყვეტილი —
შენ, ჩემს მაგივრად
ვებერთელა
დასვი წერტილი!“

გავშვთა ვაგონი

მერე რომ გავმხდარიყავ
გზათა მეპატრონე,
რომ ეთქვათ: „ამ გზაზე
ბატონი შენა ხარ!“
სადაც შემოდგომის
პირქუში ღამით
მხოლოდ საკუთარი
სითბოთი თბებიან,
სადაც ზეზეულა
წასთვლემენ წამით,
სადაც ჩემოდნებზე
ბალღები წვებიან,
სადაც ყმაწვილები
ოთხად მოკეცილან,
სადაც ატირებულ
ძუძუთა ყრმას
მზრუნველი დედა,
მშობელი დედა
ფუთნის და ახურავს
გაცრეცილ შალს...

უმალ სპეციალურ
ვაგონს დავნიშნავდი,
ვბრძანებდი: მიეცეს
ჯენის თუ ნელის
საკუთრივ — საწოლი,
საკუთრივ — საფენი,
საკუთრივ — საბანი,
აქლემის ყელის....

და იქვე დავძენდი:
— ბორბლებო ჩქარა,
მთელ ღამეს უმღერეთ
პაწიებს ნანა!

მოსაცდელი დარბაზი

აი,—ვაგზლის შენობა!
დაადექი ამ გზას...
დიდი მოსაცდელი
დარბაზი აქვს ვაგზალს,
და თუ თავშესაფარი
ვერსად ნახო სხვაგან,
ღამისგასათევად
შენც მობრძანდი აქა;
თავი მოიკატუნე,
სახე გქონდეს კუშტი —
შენც მგზავრი ხარ ვითომ,
მატარებელს უცდი.
ჩამოჯექი სკამზე,
უმალ ჩაგთვლემს
დაღლილს.
„ჩქარი-ნეაპოლისკენ!“
გაიგონებ ძახილს.
ნუ შეკრთები ძილში,
შენ იძინე წყნარად,
მატარებლის სტვენა
ჩაგესმოდეს ნანად...
ჩამოივლის მორიგე,
ეჭვით შემოგხედავს:
„რად არ მიემგზავრება
ეს ჯენტლმენი ნეტავ?
ჩანს, ჩამოჭყვა „გენუას“,
გადაჯდება სხვაში.
მაგრად ჩასძინებია
მატარებლის ცდაში“.
... დიახ, მძინავს, ბატონო,
ოღონდ ისე მძინავს,
მატარებელს კი არა,
ველოდები დილას...
ავარა ვარ, რა ვარ!
უმუშევრის ძმა ვარ!
სამუშაოს ვეძებ —
ქუჩა-ქუჩა დავალ...
სამუშაოს ვეძებ,
დღე ვერთობი ამით,
კვლავ მოსაცდელ დარბაზს
ვუბრუნდები ღამით;
ველი, მაგრამ ბოლო
აღარ უჩანს ლოდინს.
ჩემი მატარებელი
მოვა, მაგრამ როდის!
ვისმენ ძილში ხშირად
მატარებლის ძახილს;
მომაგონებს ტკბილად
იგი ქარხნის საყვირს.
სიზმრად ვნახე, მორიგევ...
და გთხოვ, ხელს ნუ მიშლი
უმუშევარს,
სამუშაო
ვნახო თუნდაც ძილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეეზოვე

იცით, ვინა ვარ?
გახლავართ ის,
ვინაც, ბავშვებო,
თქვენს ქუჩას ჰგვის.

გაზეთის ნახევს,
დაჟანგულ ქილებს,
გაცვეთილ წაღებს,
დამსხვრეულ მინებს,
ფოთლებს ქვაფენილზე,
დაცვენილს ხიდან —
ეს ჩემი ცოცხი,
ბეჯითად ჰგვიდა..
ჩვრების და ძვლების
გავზიდე მთები —
ჭრიალა ურიკით
მივდევდი გზას;
გაფრინდნენ წლები,
გამცილდნენ წლები
და ჰა, დავიღალე
სიბერის ჟამს..

დღეს ისლა მაშინებს
და ისლა მკლავს —
მეც არ მიმაყოლონ
იმ ნაგავს თან.

ჟურნალისტი

სთქვი, ჟურნალისტო,
მოგივლია ქვეყანა მთელი,
და რა ამბები
მოუტანე ახალი გაზეთს?
— ვნახე ანკარა,
თეირანი,
კალკუტა,
დელი,
ვიყავ შოტლანდის,
ვიეტნამის,
ჩინეთის გზაზე...
ვეწვიე შტატებს,
საფრანგეთს და
ხაბჭოთა მბარეს,
ურუგვაის და პარაგვაის
ატეხილ ჭალებს;
ვეწვიე თურქეთს,
ავღანისტანს,
ინდოეთს,
კონგოს;
ვეწვიე ტომებს —
ნიამ-ნიამს
და ბონგო-ბონგოს;
ვეწვიე ლამის
ყველა სოფელს,
ქალაქს და დაბას,
ბევრს ვერას გეტყვით,
მოგახსენებთ
ერთადერთ ამბავს...

მაგრამ ამბავი
ისეთია,
როგორიც გვსურდა —
ის პირველ გვერდზე,
პირველ სვეტში
დავბეჭდოთ უნდა!
ამ ამბავს
მსხვილი ასოებით
აგვიწყობს სტამბა:
„ომი-ომს!
ვაშა,
გაუმარჯოს
მშვიდობის ლამპარს!“

მეხანძრე

მე ვარ ხანძრისმქრობელი, მე მეხანძრე მქვია;
ეშინია ჩემი კვამლს და ხანძრის ბრიალს.

დე, გრგვინავდეს ხანძარი, შეჰბღაოდეს ტატნობს, —
ხანძარს ჩვენი ლაშქარი სანთელივით აქრობს.

ბევრი ცეცხლი გვინახავს, ოფლიც დაგვიღვრია,
ოღონდ ომის ხანძარი ჯერ არ ჩაგვიქრია,
თუ კვლავ ცეცხლი დაინთო, ისე დაირხევა,
მთელი ჩვენი პლანეტა ცეცხლში გაეხვევა.

ძმებო, ომის ხანძრისგან ხალხის დასახსნელად,
უნდა ხანძრისმქრობელი დროზე გახდეს ყველა.

რამდენი ბავშვია მთელ ქვეყანაზე?!

რამდენი ბავშვია
მთელ ქვეყანაზე,
რამდენი ბავშვია?
მთელი დედამიწა
ბავშვებით სავსეა!
რომ შეიძლებოდეს —
ყველას გაეცინა,
„აბა, გავიქცეთო!“
ყველას დაეყვირა,

მთელი დედამიწა
ახარხარდებოდა,
მთელი დედამიწა
აყაყანდებოდა —
თითქოს დაიფშვნაო
ჩანჩქრებად ზღვები,
თითქოს დაიქცაო
მაღალი მთები
ოქრო-ვერცხლისა და
კრიალა თვლების..

დიდხანს იგორებდა
სიცილის ტალღა
კოპენჰაგენიდან
ტურინის ბჭემდე;
გადიგრუხუნებდა
მოსკოვს და პრაღას,
გადიგრუხუნებდა
ბერლინის კედელს,
გადიგრიალებდა
ქალაქებს სხვებს,
სუყველა მთებსა და
სუყველა ზღვებს...

მერე და რარიგად
კარგი იქნებოდა.
ქვეყანა წალკოტად
გარდაიქმნებოდა;
იქ სადაც ელავენ
ყინულის თაღები,
დაიხუნძლებოდა
ფორთოხლის ბაღები;
როგორც კუნტრუშებენ
ბატკნები ბალახში,
სულ იკუნტრუშებდნენ
ღრუბლები ლაჟვარდში;
მოხუცებს სიცოცხლე
გაუგრძელდებოდათ,
კარგის ქმნა არავის
გაუძნელდებოდა...
და ყველა იტყოდა:

— მოდით, ვაჩუქოთო
ჩვენს ბავშვებს მთები,
მოდით, ვაჩუქოთო
ჩვენს ბავშვებს ზღვები...
მთები — ჭალებში
ჩამოსარბენად,
ჭალა — სარბენად
და მოსალხენად,
ზეცა—მტრედების
გამოსაფრენად...

და იქვე დასძენდნენ:
დე, დედამიწა
ნასროლი ბურთივით
ჰქროდესო ცად,
იქნებ გაჭაბუკდეს
ბებერი პლანეტა
და დაემგვანოსო
ზღაპარი ცხადს..

სხვა რაღა დავწერო,
მშვიდობით, ბავშვებო!
წინ გზაა — მე ვიცი,
ვრცელიც და ძნელიც,
მე ვიცი, იქნება
ბედნიერებაც,
თუ მაგრად ჩავკიდეთ
ერთმანეთს ხელი...
დე, სიხარულისკენ
დე, სიყვარულისკენ
კალენდრის ფურცლები
მიჰქროდნენ ფრენით.

ნახ. შ. ცხადაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავადმყოფი კურდღელი

ნორჩ მეკურდღლეთა წრის ხელმძღვანელი სხვაგან წავიდა. სწორედ ამ დროს ავად გახდა ერთი კურდღელი. საქმეს კიდევ ის ართულებდა, რომ ადგილზე არ აღმოჩნდა წრის მამასახლისი, რომელიც ამ საქმეში უცილობელ ავტორიტეტად ითვლებოდა.

ავადმყოფი უგუნებოდ იყო, დილიდან მოყოლებული ერთხელაც არ დაუკარებია პირი საჰმელზე, წყალსაც არ სვამდა; თავი ძირს დაეხარა, მარჯვენა ყურს ზოგჯერ აცქვეტდა, თითქოს ვინმეს უსმენსო, მერე გალიის კედელს მიადგებოდა და ისრესდა. პატარა ცმაცურა ტუჩები გალურჯებული ჰქონდა, ჭრელი თვალები ცრემლებს დაენამა. მოწყენილობა უხდებოდა კიდეც!

თბილისის სამოცდამეცამეტე სკოლაში სამი წლის წინათ გამოჩნდნენ კურდღლები. უნდა გენახათ ბავშვების სიხარული! ზოგიერთი მათგანი სიტყვიერად გამოხატავდა თავის აღტაცებას, ზოგი კიდევ მეტ პრაქტიკულ დაინტერესებას იჩენდა და ახალი ბოსტნეულით უმასპინძლდებოდა საყვარელ სტუმრებს. მემდეგ ყველაფერი ჩვეულებრივად მიმდინარეობდა. მამასახლისი მორიგ მეცადინეობას იწვევდა, ბიოლოგიის მასწავლებელი საუბარს ატარებდა, მდივანი ოქმებს აფორმებდა. უცანასყნელ ხანებში შეიქმნა კიდევ ერთი, ახალი თანამდებობა. მისი აუცილებლობა შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია: სკოლაში დიდი რაოდენობით დაგროვდა კურდღლების საკვები: სიმინდის ფქვილი, მარცვალი, ქერი, ბოსტნეული. საჭირო გახდა ამ საქმეში რაღაც წესრიგის შეტანა, ამიტომ ფურაჟის გამნაწილებლად ბომმარაგებელი დანიშნეს. მუდმივი დავალება ჰქონდათ წრის წევრებსაც: ორი მათგანი ყოველდღე მორიგეობდა საკურდღლეში.

დღეევანდელი მორიგე და მისი თანაშემწე ისე შეჰყურებდნენ ავადმყოფს, როგორც გულმმატკივარ ჭირისუფლებს სჩვეოდათ ხოლმე. აქვე იყო სკოლის მოხუცი დარაჯი. ეს ოდესღაც განთქმული მონადირე ფლორისა და ფაუნისადმი სიყვარულს ახლა ამ პატარა ცხოველებისადმი თვალთვალში იქარვებდა.

მორიგე შავგვრემანი იყო, მაღალი ტანის, ოდნავ გამხდარი, მრგვალ სახეზე წმავი თვალები უელვარებდნენ. იგი ფანჯარასთან მივიდა და თავის თანაშემწეს, ჯმუხ ბიჭს მეეკითხა:

— იცი, გურამ, კურდღლისაგან ათობით ნაწარმს ამზადებენ თურმე!

თანაშემწეს გულიანად გაეცინა. ავადმყოფმა კურდღელმაც მას უთანაგრძნო და ყურები გაოცებით დაბარტყუნა: „ეს რა საოცრება მესმისო!“ მხოლოდ მოხუცს არ შესტყობია გაკვირვება.

— თუ ძმა ხარ, ასეთი სიბრძნე ვინ გაგიმხილა?! ამკარა დაცინვით მიუგო გურამმა თავის ამხანაგს.

— ვახტანგმა მითხრა, — უპასუხა მორიგემ.

თანაშემწემ ხმა გაკმინდა. ან რა ჰქონდა სალაპარაკო?! ვახტანგი წრის მამასახლისი იყო და თუ მან თქვა, მაშასადამე ეგრეც ყოფილა! მარმან აქ შეაჯვარეს შინშილისა და ანგორის ჯიშის კურდღლები, რომელთა მეექვსე თაობის ბაჭიებს თხუთმეტი სანტიმეტრის სიგრძეზე გაეზარდათ ბეწვი, რაც იშვიათი მოვლენაა. ამ საკითხის შესახებ მამასახლისმა მოხსენება წაიკითხა ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე. ახალ ჯიშთა შთამომავალია მის მიერ გამოზრდილი ეს ავადმყოფი კურდღელიც, რომელსაც დიდი და ლამაზი ტანი ცისფერი ქათიბით აქვს შემოსილი, რის გამო „ლურჯი გოლიათი“ შეარქვეს.

სიმართლე რომ ითქვას ახლა გურამს თავათ სურდა შეჰკითხოდა მორიგეს, რა სახის ნაწარმს ამზადებენ კურდღლისაგანო, მაგრამ საუბარში მოხუცი ჩაერია.

— ძველათ ერთ ვაჭართან ვიყავი მოსამსახურედ! — თქვა მან, —დიდი ღორმუცელა ვინმე იყო. აბა იმას ჰქონდა პირის გემო! ქათმის კატლეტსაც კი ასე არ მიირთმევდა, თუ მასში, სანახევროდ მაინც, კურდღლის ხორცი არ ერია. ასე ამბობდა: „მსოფლიოს უდიდეს რესტორნებში ასეთი ცეცხლი დიდ მოწონებაშიაო“. მაგრამ რაღა შორს წავიდეთ, ქართუ-

ლი სუფრის მშვენება, საცივი, ხომ კურდღლისგანაც მზადდება?

— კარგი რამ არის კურდღელი, — უთხრა ბავშვებს მოხუცმა. მერე კრაველის ქუდი ხელზე დაიბერტყა, მოსიყვარულე თვალები მიმოავლო ირგვლივ და წასასვლელად მეეჭვადა თუ არა, მორიგემ მუდარის კილოთი ჰკითხა:

— ბაბუა, რა ვუყოთ ჩვენს ავადმყოფს?

— აბა რა ვიცი, შვილო! — უპასუხა მოხუცმა, — როგორც ძველი მონადირე, ვიღრე თვალი მიჭრიდა და მკლავში ღონე მქონდა, დაუნდობლად ვხოცავდი კურდღლებს. რაც შეეხება მათ მკურნალობას, ასეთი რამ არასოდეს მიფიქრია. ერთი სიტყვით, ამ საქმეში ცოდვილიანი ვარ. იცი რა გითხრა, სახლში მივდივარ, ვახტანგსაც გავუვლი, ვეტყვი ამ ამბავს. ის უშველის კურდღელს.

— მეც წამოგყვებით! — წამოიძახა თანაშემწემ გურამ ღვალიშვილმა და ორივენი გარეთ გავიდნენ.

მორიგე თენგიზ გველესიანი სიყვარულით უყურებდა კურდღლების ორსართულიან გალიას, რომელსაც ბავშვები „კურდღლის სასახლეს“ უწოდებდნენ. პირველ სართულში ერიან ერიან დედა კურდღელი და ბაჭიები. რა თქმა უნდა, ედას ყოველთვის სიამოვნებს შვილებთან ყოფნა, მაგრამ ზოგჯერ ისინი თავმომაბეზრებელნი ხდებიან; ასეთ დროს იგი მეორე სართულზე აცოცდება, სადაც ონავარი ბაჭიები ვერ ადიან. დედა ტკბილად ისვენებს, ვიდრე ხელახლა არ მოუნდება მათი გამოკვება. სხვათაშორის, ამ გონივრულმა ხერხმა გაადიდა დედა კურდღლის მერძევეობა, რამაც თავის მხრივ გავლენა მოახდინა მისი შვილების განვითარებაზეც.

თენგიზს ავადმყოფი „ლურჯი გოლიათი“ თანდათან უფრო ცუდად ეჩვენებოდა. სწორედ ამ ცხელ გულზე მოაგონდა ბიოლოგიის მასწავლებლის ნათქვამი: „თუ კარგად მოვუვლით კურდღლებს, ჩვენი წრე საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გახდებაო“.

ფიქრებში წასული თენგიზი ქვილხვილმა გამოაფხიზლა. მეორე ცვლა მოსულიყო. სწავლის დაწყების მოლოდინში ბავშვები ეზოში თამაშობენ. ზარი დარეკეს. ამან ერთი ამ-ბავი მოაგონა თენგიზს. ამ რამდენიმე ხნის წინათ ბავშვებმა კურდღლის გალიის კართან დადგეს გრძელი ფანჯარა, რომელის ბოლოში მოათავსეს საჭმელი. კარის გაღებისას დარეკეს ზარი. მერე ხელით გამოიყვანეს დედა კურდღელი, ბაჭიები, და გაატარეს ფიცარზე საჭმლის მიმართულებით. რამდენჯერმე გაიმეორეს რა ეს პროცესი, კურდღლები მიაჩვიეს ზარის ხმაზე კვებას. ახლა ზარის დარეკვისას დედა კურდღელი თავის ბაჭიებიანად გარეთ გამოდის და საჭმლისაკენ მიემართება.

სადგომის დაშორებით კურდღლების კვება ხელს უწყობს სისუფთავის დაცვას, რაც აუცილებელი პირობაა მათი ნორმალური ცხოვრებისათვის. ამასთანავე, ბაჭიებს, კვების მიზნით, ხელებს წარამარა არ ჰკიდებენ და ისინიც თავისუფლად იზრდებიან.

ფანჯრის რაფაზე იდაყვით დაყრდნობილი თენგიზი ახლა სასკოლო ნაკვეთს გასცქერის. მტკვრის ხეობიდან ნიავი უბერავს. ნელა ირხევიან კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესილი სიმინდისა და კართოფილის მწკრივები; ჰყვავის პამიდორი, კიტრს ნაყოფი გამოუსხამს; ყველაზე მაღლა აწვერილა სარს შემოვლებული ლობიოს ბარდი.

„წელს ბევრი საკვები ექნება კურდღლებს“, გაიფიქრა თენგიზმა. ეს სკოლა თბილისის ცენტრალურ უბანშია და აქ ყოველთვის დიდი ხმაურია, მაგრამ ასეთი არასოდეს არ ყოფილა. ყოველშემთხვევაში ასე ეჩვენება დღევანდელ მორიგეს. ლამის მსუბუქი ავტომობილებიც საბარგო მანქანებივით მირახრახებენ. ტრამვაის ხაზი არც ისე ახლოსაა, მაგრამ, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, ყველა ვატმანი გამუდმებით რეკს ზარს და ერთმანეთში არეული ეს ხმები არსად არ გაისმის ისე ძლიერად, როგორც აქ, სადაც თვლემს ავადმყოფი კურდღელი, რომლისათვის ასე საჭიროა სიმშვიდე და მოსვენება.

მობირდაპირე ქუჩიდან მომავალ საბარგო ავტომობილს სწორედ სკოლის წინ გაუსკდა ბორბლის საბურავი და ისეთი ხმა გაიღო, მეზის დაცემა გეგონებოდათ. ხმაურობისაგან შემკრთალი „ლურჯი გოლიათი“ მაღლა შეხტა და გალიის სახურავს მიარტყა თავი. მორიგე შეშფოთდა და ხელში აიყვანა იგი. ამ დროს კარის ზღურბლზე სამუალო სიმაღლის ცისფერთვალა ბიჭი გამოჩნდა. ეს იყო წრის მამასახლისი ვახტანგ პაატაშვილი. როგორც ჩანდა მან არაფერი იცოდა მომხდარი ამბავის შესახებ და ამიტომაც გაუჯავრდა მორიგეს:

— ხომ გითხარი, კურდღელს ნუ ათამაშებ მეთქი, განა თოჯინაა?!

— ავად არის, — უთხრა თენგიზმა ამხანაგს და კურდღელი გადასცა. ახალმოსულმა სასწრაფოდ გასინჯა ავადმყოფი. ბოლოს მარცხენა ყურში ჩახედა.

მორიგემ ურჩია:

— მარჯვენა ყური გაუსინჯე. მგონი ის სტკივა. წარამარა აქიცინებს.

ვახტანგმა მეორე ყურშიც ჩახედა თუ არა, მონაცრისფერო დანაყარი შეამჩნია და მაშინვე წამოიძახა:

— ის არის!

— რა არის? — აღელვებით შეეკითხა თენგიზი და პასუხის მოლოდინში გაიტრუნა.

— ქეცი. — მშვიდად უპასუხა მამასახლისმა.

— ქეცი?! ეს საშინელებაა! — წამოიძახა მორიგემ და მერე ისე ჩუმად ჰკითხა, მოკვდება თუ არაო, თითქოს იმისი რიდი ჰქონდა, ეს საზარელი სიტყვა ავადმყოფის ყურამდე არ მიღწეულიყო.



მეკურდღლეთა წრის წევრები მკურნალობენ ავადმყოფ კურდღელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მოჰკლავს, მალე გავკურნავთ! — უთხრა ვახტანგმა.

მორიგე გაოცებით შეჰყურებდა ამხანაგს, რომელიც მის ეზოში მცხოვრებ მოხუც ექიმს შეადარა. სხვათაშორის, როდესაც ავადმყოფს გასინჯავს, ისიც ასე იმედიანად ლაპარაკობს ხოლმე. შეიძლება ვახტანგმაც განკურნოს კურდღელი, განა ტყუილად აირჩიეს წრის მამასახლისად! ბიოლოგიის მასწავლებელიც ენდობა, მისი მარჯვენა ხელია.

ახალმოსულმა საკურდღლეში მუყაოს პატარა კოლოფი მოიტანა. თენგიზს სხვა შემთხვევაში შეიძლება ეკითხა, თუ რა იყო ამ კოლოფში მოთავსებული, მაგრამ ახლა მაგისთვის არ სცხელოდა. მან ფეხები დაუჭირა „ლურჯ გოლიათს“, ხოლო მამასახლისმა მარჯვენა ყურში, იმ ადგილზე, სადაც მუწუკები გასჩენოდა, ყვითელი ფხვნილი დააყარა. კურდღელმა თვალები დაწკურა, ტუჩები ააცმაცუნა, თავს აქეთ-იქით აქანავებდა. ავი სენის მძაფრი ტკივილები საშინლად სტანჯავდა. ასე იყო მთელ საღამოს. ადრე დილით კიდევ ჩააყარეს ყურში ფხვნილი. მეორე დღის ბოლოს ავადმყოფი მომჯობინდა. მალე სავსებით განიკურნა.

ნორჩ მეკურდღლეთა მორიგ მეცადინეობაზე ბიოლოგიის მასწავლებელმა აკაკი გოგუაძემ სასიხარულო ამბავი მოიტანა: ჩვენი წრე დამტკიცებულია გამოფენის კანდიდატთა.

* * *

— თავი სიზმარში მეგონა, მაგრამ ეს არ იყო სიზმარი, — უამბობდა თანაკლასელებს წრის მამასახლისი, — მე ნამდვილად ვიყავი მოსკოვში. წინათ მას მხოლოდ კინოსურათებისა და ნახატების საშუალებით ვიცნობდი. ერთხელ კიდეც დავხატე კრემლი, რომლის გუმბათზე ლალის ვარსკვლავი ბრწყინავდა. სხვაც ბევრი რამ ვიცოდით მოსკოვის შესახებ, მაგრამ, საკუთარი თვალით რომ ვიხილე, იგი ბევრად უფრო ლამაზი და მიმზიდველი მეჩვენა. ვიყავი წითელ მოედანზე, ვნახე მავზოლეუმი, სადაც განისვენებენ დიდი ბელადები ლენინი და სტალინი.

დედაქალაქში ბევრი მაღალი სახლია. მათ შორის უზარმაზარია სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა, რომელიც ლენინის გორაზეა აღმართული. როგორც კი დავამთავრებ საშუალო სკოლას, იმ უნივერსიტეტში შევალ სასწავლებლად.

გამოფენა მეტად საინტერესო იყო. ძლიერ მიგვიზიდა მეკურდღლეობის ექსპონატებმა. ერთ-ერთს ასეთი წარწერა ჰქონდა: „კურდღელი № 82“. მოდით და ნუ გაოცდებით. ამ კურდღელმა და მისმა შთამომავლობამ ერთ წელში ორასთექვსმეტი ბაჭია შობეს. მათმა ხორცმა ორნახევარი ცენტნერი შეადგინა, ტყავებისაგან შეკერეს ათობით ქუდი, ბერეტი, ბავშვის პალტო, ბეწვისაგან დაამზადეს ნართი.

მეტად კარგია კურდღლის კვების ახალი წესი. გალიის წინაკედელში დატანებულ ხვრელზე აფიდულან მიმაგრებულია რკინისბადიანი თავლია ყუთი, რომელშიც საკვები ჰყრია. როდესაც კურდღელს მოშივდება, პირს შეჰყოფს ხვრელში და ბადურიდან ციცქნის დაჭრილ კომბოსტოს, სტაფილოს, ქერის ფქვილის ცომს. კვების ეს ხერხი ამცირებს ბოსტნეულის დანაკარგს და უზრუნველყოფს საკურდღლეში მაქსიმალურ სისუფთავეს. ჩვენში წლის ყოველ დროს ხდება კურდღლის გამრავლება. ეს არც ისე ხელსაყრელია თურმე. გავიგეთ რომ სხვა თვეებთან შედარებით თებერვალში, აპრილში, ივნისსა და აგვისტოში მიღებულ ნამატს გრძელი და კარგი ხარისხის ბეწვი აქვს.

გამოფენის მონაწილის შთაბეჭდილებანი მეტად აღმაფრთოვანებელი გამოდგა. საკლასო ოთახში მოსწავლეთა ტევა არ იყო. ათობით წყვილი თვალი წრის მამასახლისს მისჩერებოდა, რომელიც ერთიმეორეზე საინტერესო ამბებს ჰყვებოდა.

ეს იყო გასული წლის შემოდგომაზე.

პიონერი ჯემალ ესებუა ნორჩი ნატურალისტის სამკერდე ნიშნით დაჯილდოებას ულოცავს თენგიზ გველესიანს.

გავიდა რამდენიმე თვე... ამა წლის იანვარში აქ კიდევ მოხდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ამბავი. არაჩვეულებრივად გულჩამწყდენ, საზეიმო ვითარებაში შეიკრიბნენ მეკურდღლეები. ჩვენი ნაცნობები ვახტანგი, თენგიზი, გურამი და მათი თანაკლასელები კურდღლების გალიებთან ჩამწკრივდნენ. უმცროსი კლასების მოსწავლე გოგო-ბიჭები კი ცალკე შეგროვდნენ. პატარები გაოცებით შესცქეროდნენ თოვლივით თეთრსა თუ თაგვისფერ კურდღლებს. ზოგიერთი ბავშვი პირველად ხედავდა ამ პატარა ცხოველებს.

მეკურდღლეთა წრის მამასახლისი ამხანაგებს გამოეყო, ორიოდე ნაბიჯი წინ წასდგა და უმცროსკლასელებს ასე მიმართა:

— სასწავლო პროგრამის მიხედვით ჩვენთვის მეკურდღლეობა განვლილი საქმეა. გაბარებთ ამ კურდღლებს. მოუარეთ მათ ისე, როგორც ჩვენ ვუვლიდით, უკეთესადაც! როდესაც დიდები შეიქნებით უმცროსებს გადაულოცეთ ეს საქმე. დაე, ჩვენი წამოწყება ტრადიციად იქცეს.

თქვა ეს თუ არა, უფროსკლასელები გალიებს მოშორდნენ, ხოლო მათი ადგილი უმცროსკლასელებმა დაიკავეს. პატარებმა პირობა დადეს, რომ უფროსი ამხანაგების ინიციატივას სასახელოდ განაგრძობდნენ.

ყურადღებით უსმენდა ბავშვებს ფანჯრის რაფაზე ზურგით მიყრდნობილი, გაღიმებული მოხუცი დარაჯი. ამ მანამდე არნახული სურათის შემყურე „ლურჯი გოლიათიც“ როგორღაც გადასხვაფერებულიყო; გრძელბეწვა კუდი ზევით აეზიდა. დიდი თვალები ბავშვებისათვის მიეპყრო და პატარა ტუჩებს წარამარა აცმაცუნებდა, თითქოს ლაპარაკი სურსო.

ერმალო გოგიავა

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ნახ. გ. თოთიბაძისა

მამალი
და
თურქეთის სულთანი

უნგრული ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი ქალი. ჰყავდა ერთი მამალი. ერთხელ მამალი ნაგავს ქექავდა და უცებ ალმასის თვალს წააწყდა.

სწორედ ამ დროს თურქეთის სულთანმა ჩამოიარა. მამალს რომ ნაპოვნი ალმასის თვალი დაუნახა, უთხრა:

— მომეცი ეგ შენი ალმასის თვალიო.

— აბა, რად უნდა მოგცე! ეს ხომ ჩემს პატრონსაც კარგად გამოადგებაო, — დაიქორქოლა მამალმა.

მაგრამ სულთანმა ძალით გამოგლიჯა მამალს ალმასის თვალი, წაიღო შინ და თავის საგანძურში შეინახა.

გაბრაზდა მამალი, შეხტა ღობეზე და დაიყივლა:

— ყიყლიყოო! თურქეთის სულთანო, დამიბრუნე ჩემი ალმასის თვალიო.

ყივილი რომ არავის გაეგონა, სულთანმა მამალი დააჭერინა და თავის სასახლეში ჩაკეტა. თან მსახურებს უბრძანა, კარსარკმელი მაგრად ჩაეკეტათ.

მაშინ მამალი შეფრინდა სარკმელზე, ჩასცხო მინას ნისკარტი, მიარტყა ფრთები, ჩაამსხვრია და დაიწყო ყივილი:

— ყიყლიყოო! თურქეთის სულთანო, დამიბრუნე ჩემი ალმასის თვალიო.

გაცეცხლდა სულთანი და ბრძანა:

— მსახურებო, დაიჭით ეგ მამალი, ჭაში ჩააგდეთ, რომ მეტი აღარ იყივლოსო.

მსახურმა დაიჭირა მამალი და ჭაში ჩააგდო. მაგრამ მამალი ჭაშიც ალაპარაკდა:

— წყალო, წყალო, ჩადექ ჩემს მუცელშიო.

მართლაც, რაც წყალი იყო ჭაში, სულ ამოვიდა და მამლის მუცელში ჩაიღვარა. მამალი დეზებიდან ბიბილომდე გაიბერა. მერე აფრინდა და ისევ სულთანის სარკმელზე შემოჯდა.

— ყიყლიყოო! თურქეთის სულთანო, დამიბრუნე ჩემი ალმასის თვალიო

— მიდი, მსახურო, დაიჭირე მამალი და გახურებულ ღუმელში შეაგდეო.

მსახურმაც დაიჭირა მამალი და გახურებულ ღუმელში შეაგდო, მაგრამ მამალმა მაინც არ მოისვენა.

— წყალო, წყალო, გადმოიღვარე ჩემგან, გადაესხი ცეცხლს და ჩააქრეო.

თვალის დახამხამებაში გადაესხა წყალი ცეცხლს და ჩააქრო. არც აცივა მამალმა, არც აცხელა და ისევ სარკმელზე შემოსკუპდა.

— ყიყლიყოო! თურქეთის სულთანო, დამიბრუნე ჩემი ალმასის თვალიო.

კიდევ უფრო გაბრაზდა თურქეთის სულთანი.

— გასწი, მსახურო, დაიჭირე მამალი და სკაში შეაგდე, ფუტკრებმა დაკბინონო.

მსახურმა დაიჭირა მამალი და ფუტკრებით სავსე სკაში შეაგდო. მამალმა თავისებურად მომართა ენა:

— ფუტკრებო, ფუტკრებო, ფრთა-ბუმბულქვეშ შემოძვერით და დაიმალეთო.

მერე მამალი კვლავ შეხტა სულთანის სარკმელზე და დაიყივლა:

— ყიყლიყოო! თურქეთის სულთანო, დამიბრუნე ჩემი ალმასის თვალიო.

თურქეთის სულთანმა აღარ იცოდა რა მოეხერხებინა მამლისათვის.

— მოდი, მსახურო და აქ მომგვარე ეგ მამალი, შარვლის ქვეშ შევისვამ და ზედ დავაჯდები, გავსრეს და იქნებ მაშინ მაინც გაჩუმდესო.

მსახურმა დაიჭირა და სულთანმა თავის განიერ შარვალში შეისვა მამალი.

მაშინ მამალმა ისევ წამოიწყო:

— ბუმბულო, ბუმბულო, ფრთებო, ფრთებო, გამოუშვით ეგ ფუტკრები, რომ დაკბინონ თურქეთის სულთანიო.

გამოფრინდნენ ფუტკრები და ეცნენ სულთანს. წამოხტა სულთანი, დაიწყო ხტუნვა და კუნტრუში.

— ვაიმე, ვაიმე, ეშმაკმაც წაიღოს ამ მამლის თავი! წაიყვანეთ საგანძურში, — დე, თვითონ მოძებნოს თავისი ალმასის თვალიო.

წაიყვანეს მამალი საგანძურში, იქ მან ისევ თავისებურად დაამღერა:

— მუცელო, ჩემო მუცელო, მოხვეტე რაც ფულია, რომ თურქეთის სულთანს აღარაფერი დარჩესო.

მამალმა სამი ვარცლი ფული შეაგროვა მუცელში, წაიღო შინ და მისცა თავის პატრონს. პატრონმა ფული ღარიბებს დაურიგა, მაგრამ არც თავისი თავი დავიწყებია, დღემდე კარგად და ბედნიერად ცხოვრობს.

თარგმნა **ძეთევან ნადირაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული ახალი ამბები

საპატიო პიონერები

მწვანეში ჩაფლულა ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე. ეზოში პიონერები შეკრებილან. ისინი მოუთმენლად მოელიან ძვირფას სტუმრებს: ქუთაისის საწარმოთა მოწინავე კომკავშირელ სტახანოველებს; სახელგანთქმული სტახანოველები ხომ ყოფილი პიონერები არიან! არც თუ ისე დიდი ხანია, რაც მათ ყელზედაც წითელი ყელსახვევები ფრიალებდა. აი, ისინიც გამოჩნდნენ: შ. ყორეოლიანი, შ. ბანძელაძე, თ. ჩოგოვაძე, შ. უკლავა და ქ. გველესიანი.

სულითა და გულით მიესალმენ წარმოების მოწინავეებს პიონერები: ე. ფრუიძე და რ. ქაშიბაძე.

პიონერებს თავიანთი შრომითი მიღწევების შესახებ უამბეს საავტომობილო ქარხნის მღარავმა შ. ყორეოლიანმა და სამკერვალო ფაბრიკის მკერავმა ქ. გველესიანმა.

ისევ აფრიალდა საამაყო კომკავშირლების ყელზე პიონერული ყელსახვევები: ისინი საპატიო პიონერებად აირჩიეს.

ღირსსახსოვარი შეხვედრა

ამას წინათ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ლექტორიუმში სასახლის ნორჩ გეოგრაფთა წრემ მოაწყო მოსწავლეთა შეხვედრა დიღმისა და სართიჭალის მტს-ის სპეციალისტებთან.

ნორჩი გეოგრაფები დიდი ენთუზიაზმით მოემზადნენ შეხვედრისათვის: წინასწარ მოეწყო ექსკურსიები დიღმისა და სართიჭალის მტს-ში, ასურეთის და დიღმის მეცხოველეობის მექანიზებულ და ნახევრად მექანიზებულ ფერმებში, მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში. აღნიშნული ექსკურსიების მასალების მიხედვით ნორჩმა ფოტოგრაფმა ლ. კობახიძემ გამოუშვა ფოტო-გაზეთი.

ამიტომ იყო, რომ შეხვედრაზე ნორჩმა გეოგრაფებმა წარმოადგინეს შინაარსიანი, საქმის ცოდნით დამუშავებული მოხსენებები: დიღმისა და სართიჭალის შესახებ დაწვრილებით ილაპარაკეს თავიანთ მოხსენებებში თინა გელაძემ და ჟანა ზუბიევამ. ამ ორი სოფლის მტს-ების მუშაობა საგანგებოდ გააშუქეს ამალია სუქნიძემ და მედეა შეშელიძემ. დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი მოხსენებები ჩვენი მოწინავე სპეციალისტების — დიღმის მტს-ის დირექტორის ვენერა გოთოშიას და სართიჭალის მტს-ის ინჟინერ-მექანიკოსის სიმონ გეწაძის მუშაობის შესახებ.

დასასრულ, სპეციალისტები ესაუბრენ მოსწავლეებს სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

გულითადი ამანათები



ყაზახეთის ველებზე ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად დაუღალავად შრომობენ ჩვენი დიდი სამშობლოს ახალგაზრდა პატრიოტები.

ქართველი მოსწავლეები საჩუქრებს უგზავნიან შრომის გმირებს.

გულითადი ამანათები გაგზავნეს მახარაძის რაიონის ჩაის ტექნიკუმის, ქალაქის I და III საშუალო სკოლების მოსწავლეებმა, ნატანების რვაწლიანი სკოლის პიონერებმა და სხვ.

ამანათებს აგზავნიან ქუთაისის მე-10 საშუალო სკოლის, მე-2, მე-4, მე-7 და 21-ე საშუალო სკოლების მოსწავლეები.

ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში ამანათების გაგზავნა ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად მომუშავე ახალგაზრდებისადმი გრძელდება.

მამაცი პიონერი

ეს მოხდა გაგრაში.

მოქალაქე მურავცევამ ბინა ჩაკეტა და თვითონ სადღაც წავიდა. სახლში უმეთვალყურეოდ დარჩა ორი ბავშვი — ოთხი წლის ბიჭი და ორი წლის გოგონა.

ბავშვებმა თამაში დაიწყეს და ნავთქურა აანთეს. თამაშის დროს ნავთქურა გადაუბრუნდათ და ოთახში ცეცხლი გაჩნდა.

პიონერმა ოლეგ სემჩენკომ, რომელიც მეზობლად ცხოვრობდა, შეამჩნია, რომ მურავცევის ბინიდან კვამლი გამოდიოდა. მან დედას ოლღა სემჩენკოს დაუძახა. დედა-შვილმა კარი ვერ გააღო. მაშინ ოლეგმა ფანჯარა შეამტვრია და ოთახში გადახტა. ოთახში უკვე ცეცხლი მძვინვარებდა. ოლეგმა ხელი სტაცა გოგონას, რომელიც საწოლზე განაბულიყო და დედას მიაწოდა ფანჯარაში. შიშისაგან დაზაფრული პატარა ბიჭი საწოლქვეშ შემძვრალიყო. ოლეგმა ბევრი ეძება იგი, სანამ არ აღმოაჩინა.

მამაცმა პიონერმა და მისმა დედამ დალუპვისაგან იხსნეს ბავშვები.

მისაბაძი მაგალითი

ამ რამდენიმე ხნის წინათ ფოთის მე-3 საშუალო სკოლის შენობაში გაიხსნა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნა 700 ექსპონატი ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველების და სხვა დარგებიდან.

ფოთის მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლეთა მიერ მოწყობილი გამოფენა მისაბაძი ინიციატივაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ი. იაკოვლევი — „საჩუქარი“



„საბლიტგამმა“ ოთარ ჭელიძის თარგმანით გამოსცა საბჭოთა ბავშვების საყვარელი წიგნი—იური იაკოვლევის პოემა „საჩუქარი“.

პოემის შინაარსი მოკლედ ასეთია:

მოსკოველი პიონერი ვალოდია ვორონოკი გაზაფხულის დღეებში დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მშობლიურ ქალაქ გორში იყო. სიყვარულით დაათვალიერა სახლი

„სადაც სტალინის
სახელი—
„სოსო—პირველად
გაისმა.
აქ დაიბადა ამ სახლში
დიდი ბელადი ხალხისა.“

ვალოდიას მოხუცმა გორელმა მებაღემ უამბო ამბავი სტალინის ბავშვობიდან:

—„ მახსოვს, რა რიგად
უყვარდა
ჩვენს სოსოს კრეფა
იისა.“

პატარა ვლადიმერი ჩაფიქრდა, რაღაც მოიაზრა და მოხუცს ჰკითხა:

—„მითხარით, ნეტავ
მოსკოვში
ვერ გაიხარებს ეს ია?“

მოხუცმა მიუგო:

„მზე არ ეყოფა,
დასჭკნება,
როდესაც ადგილს
მოუცვლი.“

მაგრამ ვალოდიამ, იმის იმედით, რომ მას იის მოვლაში მეგობრებიც მიეხმარებოდნენ, მოხუცს მოაჭრევინა ვეებერთელა იებიანი ბელტი, წამოიღო მოსკოვში და საგანგებოდ უვლიდა.

და აი, ერთხელ, შუა ზამთარში, როდესაც თოვლი ბარდნიდა, როცა სტალინი კრემლში მუშაობდა საყვარელი მამულისათვის, ვალოდიამ ბელადს გაუგზავნა ცოცხალი ია.

„მის წინ, ოთახის
სითბოში
გადაიშალა ყვავილი,
ვით ძალა გაზაფხულისა,
აენთო ლურჯი ალივით.
... ბელადის გული
ნათელი
მხიარულებით აივსო,
მიუალერსა ყვავილებს:
შეხედეთ, ია ჰყვავისო.“

ამ ძვირფასი საჩუქრის მიღებისთანავე სტალინმა იკითხა:

—„ის გაბედული მებაღე
ვინ არის? ნახოთ
იქნება?

პასუხი ესმის: მებაღის
ნახვა არ გაგვიჭირდება.“

როცა ვალოდიამ ბელადს კრემლში საჩუქარი შეუგზავნა, რაზმის შეკრებაზე გამოეჩქარა, მაგრამ ვალოდიაზე ადრე სკოლაში დიდი ბელადის დეპეშა მოვიდა:

„ბავშვებმა ღელვით
გაშალეს
ფურცელი გამოგზავნილი.
ყვავილისათვის მადლობა,
ქვემოთ ეწერა:
სტალინი.“

ასე თავდება ეს მეტად საინტერესო პოემა.

პოემა კარგად არის დასურათებული მხატვარ გრ. ჩირინაშვილის მიერ. ამ წიგნის გამოცემით „საბლიტგამმა“ მართლაც კარგი საჩუქარი მიაწოდა ქართველ ბავშვებს.

გრ. იმედაძე

ბულგარული ხალხური ზღაპრები

ახლახან „საბლიტგამმა“ გამოსცა ბულგარული ხალხური ზღაპრების კრებული „ნატვრისთვალი.“ წიგნში მოთავსებულია ცხრამეტი ზღაპარი, უმთავრესად საყოფაცხოვრებო ხასიათისა. ამ კრებულით ქართველი ნორჩი მკითხველი პირველად გაეცნობა ბულგარელი ხალხის შესანიშნავ ფოლკლორს.

ზღაპარი, და საერთოდ ფოლკლორი, ხალხის ოცნებათა, ხალხის მისწრაფებათა სარკეა. ზღაპრებში ნათლად იხატება ამა თუ იმ ხალხის ისტორიული ბედი, მისი გულისპასუხი, მისი დამოკიდებულება ბუნებისა თუ საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ.

შრომა აჯანსაღებს ადამიანს სულიერად და ფიზიკურად! — აი, ძირითადი მოტივი კრებულში შეტანილი ზღაპრებისა.

პირველივე ზღაპარი — „სილან-ყარყატი“ — მძაფრად განგვაცდევინებს ტრაგიზმს გზას აცდენილი ახალგაზრდისა, რომელიც გაზრდილა, დაკაცებულა და მაინც მშობლების ხარჯზე ცხოვრობს, შრომას გაურბის. დიდხანს იტანჯება ბედისაგან დასჯილი, ყარყატად ქცეული სილანი, ვიდრე არ მიხვდება ოჯახის, მოყვასის და შრომის ფასს.

აი, ნებიერაც, რომელსაც ნიავს არ აკარებენ მშობლები. მისი შერთვა ყველასათვის საზარალოა და არავის უნდა. მაგრამ გამოჩნდა გამრჯე, შრომისმოყვარე ყმაწვილი, რომელმაც შეირთო და მოათვინიერა ნებიერა. ოჯახში შექმნილი მდგომარეობისა და რამდენიმე უსიამოვნო შემთხვევის წყალობით ნებიერა შეეჩვია შრომას. ზღაპრის დასასრულს ნებიერას მშობლებიც მიხვდნენ თავიანთ დანაშაულს და კმაყოფილნი დარჩნენ სიძით.

უფროსების პატივისცემას, მშობლების სიყვარულს ჩაგვაგონებს ზღაპარი „რატომ სცემენ პატივს“ მოხუცებს.“ კრებულში შეტანილი სხვა ზღაპრებიდან საყურადღებოა საგმირო ხასიათის ზღაპრები: „უკვდავების წყალი,“ „გოლიათი ოჰ და სამი ქალიშვილი,“ „ეშმაკი პეტრე და გველეშაპი“ და სხვ.

„ნატვრისთვალი,“ რომელიც კარგადაა თარგმნილი ქეთევან ნადირაძის მიერ, სასარგებლო და საინტერესო წიგნია. ეს წიგნი დაეხმარება ქართველ ბავშვებს წარმოდგენა იქონიონ თავისუფლებისმოყვარე ბულგარელი ხალხის სულიერ კულტურაზე.

ბაკურ ბახტურიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ ყველაფერზე

სტალინაბადი

ადრე აქ იყო პატარა ყიშლაყი (დაბა) დიუშამბე. 1929 წლიდან ყიშლაყი გაჰქრა გეოგრაფიული რუკიდან. ახალ ქალაქს, რომელიც მის ადგილზე დაიბადა, ი. ბ. სტალინის სახელი უწოდეს.

იმავე წელს სტალინაბადის ახალ რკინიგზაზე პირველმა მატარებელმა გაიარა: მან მოიყვანა მშენებლები ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან. თავდადებული შრომის შედეგად აშენდა დიდი ქალაქი. იგი დამშვენდა გამწვანებული ქუჩებით, ლამაზი პარკებით და მაღალი შენობებით. 1926 წელს აქ იყო 5 ათასი მცხოვრები, 1939 წლის აღწერით სტალინაბადში 82. 540 მცხოვრები ითვლებოდა.

ამჟამად სტალინაბადი ტაჯიკეთის სსრ დედაქალაქია და მძლავრი ინდუსტრიული კერა. ქარხნები და ფაბრიკები უშვებენ მანქანებსა და რთულ დეტალებს ელექტროსადგურებისათვის, ჭურჭლეულსა და განთქმულ ტაჯიკურ ქსოვილებს. ცოტა ხნის წინათ სტალინაბადში ამუშავდა მძლავრი ავტომატური ელექტროსადგური.

ასე გადაიქცა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში პატარა ყიშლაყი ქალაქად.

კლდის კედლებში

თვითმფრინავი გვინეის კუნძულზე დაფრინავდა. მფრინავებმა მილერისა და კარიუსის გორაკებს შუა გადაშლილ დაბლობზე შეამჩნიეს რაღაც ნაგებობანი.

მეცნიერმა ჯონ სანდერსმა გადაწყვიტა შეესწავლა ეს დაბლობი. აღმოჩნდა, რომ იქ ცხოვრობდა უცნობი ტომის ხალხი. ტომის ბელადის ნებართვის შემდეგ მეცნიერმა მოიარა 25 კილომეტრის სიგრძეზე გადაჭიმული დაბლობი, რომელიც გარშემორტყმული იყო კლდის კედლებით.

დაბლობი დასახლებულია ადამიანებით, რომლებიც თითქმის შიშველი არიან, ატარებენ პრიმიტიულ სამკაულებს და ხმაროben ქვის ნაჯახს.

ახალაღმოჩენილი ტომი თავისი განვითარების დონით ე. წ. ქვის ხანას მიეკუთვნება.

გიგანტური ხვლიკი

ხვლიკი, რომელსაც ამბლირინხს უწოდებენ, მეტრნახევარი სიგრძისაა. იგი მხოლოდ გალაპაგოსის კუნძულებზე გვხვდება.

ამბლირინხი მოშავო ფერისაა და ამიტომ ძნელი შესამჩნევია ლოდებზე, სადაც იგი გაუნძრევლად წევს საათობით და მზეს ეფიცხება.

მიუხედავად ბასრი კბილებისა და ვეებერთელა ტანისა, ეს ხვლიკი ძალზე უწყინარია. საშიშროების დროს გაქცევით შველის თავს.

ამბლირინხი საშინლად ღონიერია. მძლავრ ბრჭყალებს ჩასჭიდებს ხოლმე რაიმეს, გაიბერება და ვერავითარი ძალა მას კუდით ვერ დაითრევს.

»ქოხმახთა ქალაქები«

სამხრეთ აფრიკის ადგილობრივ მკვიდრთ დიდ ქალაქებში ცხოვრება აკრძალული აქვთ. კოლონიზატორები მათ პირდაპირ ასახლებენ ქალაქიდან.

აფრიკელი წვრილი ხელოსნები, შავი მუშები, უმუშევრები იძულებული არიან ქალაქგარეთ იცხოვრონ.

ძველი ძელებისაგან, დაჟანგული თუნუქისაგან, ნესტიანი აგურისაგან აფრიკელები აგებენ ქოხმახებს, რომლებიც საქათმეს უფრო ჰგვანან, ვიდრე საცხოვრებელ ბინებს.

ქოხმახები ძალზე დაბალია და ვიწრო, შიგ შესვლა მხოლოდ ხოხვით შეიძლება.

დიასახლისები ქუჩაში ამზადებენ საჭმელს, იქვე რეცხავენ. გამვლელებს ფეხებში ედებათ ტიტლიკანა ბავშვები. იქვე მუშაობს პარიკმახერი, ხარაზი.

ასე შეიქმნა აფრიკაში »ქოხმახთა ქალაქები«.

ფარაონის ნავი

ფარაონ ხეოფსის პირამიდა ეგვიპტის არქიტექტურის უშესანიშნავესი ძეგლია. იგი აგებულია ხუთი ათასი წლის წინად.

და აი, ახლახან აქ დაიწყეს ბეტონის გზის მშენებლობა, რათა ექსკურსანტებისათვის მსვლელობა გაეადვილებინათ. დაიწყეს თუ არა მუშაობა, მშენებლებმა აღმოაჩინეს 150 მეტრის სიგრძის შენობა. ორი დღის მუშაობის შემდეგ შენობა შეანგრიეს და შიგ შევიდნენ. კედარის მძაფრი სუნი ეცათ და მშენებლებმა დაინახეს ფარაონ ხეოფსის ნავი.

მშრალმა ადგილმა ხის ნავი ხუთი ათას წელს შეინახა.



შხამიანი თევზი

ინდოეთის ოკეანის სანაპიროს მცხოვრებთათვის თევზი ძირითადი საკვებია. მაგრამ არის თევზი, რომლის პაწაწინა ნაჭერსაც კი შეუძლია ადამიანი სასიკვდილოდ მოწამლოს. ეს არის ე. წ. თევზი — ბურთი. ბურთი ცხოვრობს ნაპირთან ახლო, წყლის ბალახებში.

გარდა იმისა, რომ ამ თევზის ხორცი შეიცავს ძლიერ შხამს, მას აქვს კიდევ ერთი თავდაცვის საშუალება: როდესაც საშიშროება მოელის, იგი წყალს შეიწოვს განსაკუთრებულ პარკუჭში, გაიბერება და მტერს აფრთხობს.



მზარდი მოჭადრაკე

ახლახან დამთავრდა თბილისის 1955 წლის პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის. ყურადღება მიიქცია 68-ე საშუალო სკოლის მე-7-ე კლასის მოსწავლის, პიონერის, 13 წლის ნონა გაფრინდაშვილის თამაშმა, რომელმაც დამსახურებულად დაიკავა მეორე ადგილი საპასუხისმგებლო პირველობაში. მან მრავალი კარგი, შინაარსიანი პარტია გაითამაშა.

ნონა თბილისის პიონერთა სასახლის საჭადრაკო კაბინეტის წევრია.

ქვემოთ მოგვყავს ნონა გაფრინდაშვილის მოგებული პარტიის დაბოლოვება გუბსკაიასთან (თეთრები).



პარტიის სადებიუტო ნაწილი დამთავრებულია. გარდა იმისა, რომ ნონას ფიგურებს მოძრაობის თავისუფლება აქვს, მისი პაიკი d4 სოლივით შეიჭრა თეთრების განლაგებაში. ცხადია, რომ უპირატესობა მის მხარეზეა.

შემდგომ თამაშში გუბსკაია ცდილობს ბრძოლაში თავისი კუც ჩაბას, ხოლო ნონა ოსტატურად იყენებს თეთრების განლაგებაში შექმნილ სისუსტეებს და იმარჯვებს. 1. ... c5 2. ♗e4 ♘e7 3. e3 ♗c6 4. ♘d3 (გუბსკაიამ სასურველს მიაღწია, მაგრამ ნონა სპასუხოდ მას სუსტ პაიკს უქმნის) 4. ... de 5. fe ♘f5 (შავები უნარიანად ავითარებენ იერიშს. კუთა გაცვლით უარესთება თეთრი მეფის მდგომარეობა) 6. ♗d2 (ყველა სხვა სვლის შემთხვევაში თეთრები აგებენ e3 პაიკს) 6. ... ♘d3 7. ♖:d3 ♗b4 8. ♖b3 ♕ad8 9. ♗f3 ♖e4! (ძლიერი მუქარით ♗d3+) 10. ♗e1 (ამის შემდეგ ნონა სწრაფად იმარჯვებს) 10. ... ♕:d1+ 11. ♔:d1 ♕d8+ 12. ♔e2 (თუ 12. ♔c1, მაშინ 12. ... ♗:a2+ 13. ♖:a2 ♖:e3+ 14. ♔c2 ♕d2+ 15. ♔c1 ♕d3+ შამათით) 12. ... ♖g4+ 13. ♔f1 ♕d2 14. ♖a4 ♖e2+ 15. ♔g1 ♖:e1+ 16. ♔h2 ♖:h4+ 17. ♔g1 ♖f2+ 18. ♔h2 ♖:g2×.

ნ. გაფრინდაშვილი წარმატებებს მოიპოვებს, თუ მეტი მონდომებით მოეკიდება საჭადრაკო ხელოვნების დაუფლების საქმეს.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში.

შინაარსი

	გვ.
ჰუგო ჰუპერტი—სახლი გორში (ლექსი)	1
დიდი სტალინი—(წერილი)	2
ბ. ემელიანოვი—ორი წითელარმიელი (მოთხრობა)	3
ნიკოლოზ ვერეტენიკოვი—ვალოდია ულიანოვი (მოგონებანი ვ. ი. ლენინის ბავშვობისა და ყრმობის წლებზე კოკუშკინოში)	4
დიდება დედას—მოსწავლეთა წერილები და ლექსი	8
ოთარ ჩიჯავაძე—ზვიგენის კბილი (მოთხრობა. გაგრძელება)	10
სადრიდდინ აინი—ხაიბარი (მოთხრობა, ტაჯიკურიდან თარგმნა მაგალი თოდუამ)	14
გ. ვარდოსანიძე—როგორ უნდა მუშაობდნენ პიონერული კედლის გაზეთები (წერილი)	15
ბეჟან ბარდაველიძე—პიონერული კედლის გაზეთები (ნარკვევი)	16
ჰოუარდ ფასტი—ტონი და ჯადოსნური კარები (მოთხრობა, დასასრული. თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ)	18
ჯანი როდარი—ლექსები, თარგმნა მურმან ლებანიძემ	22
ერ. გოგიავა—ავადმყოფი კურდღელი (ნარკვევი)	25
მამალი და თურქეთის სულთანი (უნგრული ხალხური ზღაპარი, თარგმნა ქეთევან ნადირაძემ)	28
პიონერული ახალი ამბები	29
გრიგოლ იმედაძე—ი. იაკოვლევი — „საჩუქარი“ (წერილი)	30
ბაკურ ბახტურიძე—ბულგარული ხალხური ზღაპრები (წერილი)	30
მოკლედ ყველაფერზე	31
ჭადრაკი	32
გასართობი	გარეკ. 3

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის **გრ. ჩირინაშვილს.** გარეკანის მეორე გვერდზე ფოტო **შ. ჩხეტიანისა.** გარეკანის მეოთხე გვერდზე „23-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკაში“—ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: **ა. დავიდოვას, ალ. გიგოლაშვილის, კ. მახარაძის, გ. თოთიბაძის, რ. ცუცქირიძის, ალ. ბანძელაძის, შ. ცხადაძის** და **ზ. მეძმარიაშვილის** მიერ.

რედაქტორი **რევაზ მარგიანი**

სარედაქციო კოლეგია: **რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, მ. ლებანიძე** (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი** (სამხატვრო რედაქტორი), **ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე.**

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. март № 3, 1955.
Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85.

უე 00575 ტირაჟი 17.000 ხელმოწ. დასაბ. 12/III გამომც. შეკვ. № 39. სტამბის შეკვ. № 214. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“

გასართობი



ეროვნული ბიბლიოთეკა

მეწისქვილის ტომრები

ერთ მეწისქვილეს ფქვილით სავსე 9 ტომარა ჰქონდა, ტომრები დანომრა და, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები, ისე დააწყო: შუაში—სამი ტომარა, აქეთ-იქით — ორ-ორი, ნაპირებში კი — თითოთითო.

თუ დავაკვირდებით ნახატს, დავინახავთ, რომ მარცხენა ნაპირზე მოთავსებული ტომრის ციფრი 7 გამრავლებული მის გვერდით მდებარე ორი ტომრის ნომრებისაგან შედგენილ რიცხვზე 28-ზე უდრის შუაში მდებარე სამი ტომრის ნომრებისაგან შედგენილ რიცხვს 196-ს.

მაგრამ თუ ასევე მოვიქცევით და მარჯვენა ნაპირზე მდებარე ტომრის ნომერს 5-ს გადავამრავლებთ მის გვერდით მდებარე ორი ტომრის ნომრისაგან შედგენილ რიცხვზე 34 ზე—196-ს არ მივიღებთ.

მეწისქვილემ თავის აცხანაგებს წინადადება მისცა ეს 9 ტომარა გადაეადგილებინათ ისე, რომ I გადამრავლებული II-ზე — უდრიდეს III-ს; ასევე, IV-ე გადამრავლებული V-ზე უდრიდეს III-ს.

ამოცანის გასაადვილებლად მეწისქვილემ დასძინა, რომ საკმარისია მხოლოდ ხუთი ტომრის გადაადგილება.

სცადეთ ამოცანის ამოხსნა.

შეადგინა **ნ. კოპინაშვილმა**

ვინ უფრო გონებამახვილია



ავიღოთ თანატოლი და ერთნაირი ფორმის— A და Б ფურცელი. A ფურცელს ჩამოვაჭრათ მეოთხედი ნაწილი სიგანეზე, ხოლო Б ფურცელს ჩამოვაჭრათ მეოთხედი ნაწილი სიგრძეზე. დაგვრჩება თანატოლი ფართობისა და სხვადასხვა ფორმის ორი ფურცელი. პირველს ექნება კვადრატის ფორმა, ხოლო მეორეს—სწორკუთხედისა.

აი, როგორც ამ სურათზეა ნაჩვენები.

აბა, თუ შესძლებთ, გაჭრათ A ფურცელი ორ ისეთ თანასწორ ნაწილად, რომ Б ფურცლის სიბრტყეს ზუსტად დაემთხვეს, ანდა პირიქით — Б ფურცელი გაჭრათ ორ ისეთ თანასწორ ნაწილად, რომ A ფურცლის სიბრტყეს ზუსტად დაემთხვეს.

შეადგინა **ვ. აბულაძემ**

პასუხები ჟურნალ „პიონერის“ № 2-ში მოთავსებულ გასართობზე

პასუხი თავსატეხზე



ნახაზზე ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება მოცემული სამკუთხედი გავყოთ სამ თანაბარ ნაწილად ისე, რომ თითოეულ ნაწილში სამი ვარსკვლავი მოთავსდეს.

პასუხი თავსატეხზე „ერთი მოხაზვით“

ნახაზზე ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება დავხაზოთ ეს ფიგურა ერთი მოხაზვით ისე, რომ არ მოვაშოროთ ფანქარი ქაღალდს, არ გავავლოთ ხაზი ერთსადაიმავე ადგილას და, ამავე დროს, ხაზებმა არსად არ გადაჭკვეთონ ერთმანეთი.



ეროვ. ბიბ. გაცვ.

ფასი 2 მან.

5.248/35